საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 19-20 მაისი. 2021 წ. №107-108 (9226-9227) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



განათლების დონის დაცემა... მიზანმიმართულად!

⑥-⑦



⑤

ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი

④

უპირობო პრივატიზაცია ეწინააღმდეგება მიწის სისტემური პოლიტიკის შექმნის საფუძვლებს!

სადან მცკვარი?



⑧

ეროვნული ბანკი მომხმარებლებს აფრთხილებს!

უწყების ინფორმაციით, ბოლო პერიოდში დადასტურდა შემთხვევები, როდესაც ფინანსური სექტორის მომხმარებლებს, უცხოური ბანკები და ორგანიზაციები სესხის მიღებას გარკვეული თანხის გადარიცხვის სანაცვლოდ სთავაზობენ.

„გასათვალისწინებელია, რომ შეტყობინებებში მითითებული ორგანიზაციები არ წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებს. შესაბამისად, არსებობს ამ სქემით დაინტერესებული პირების მიერ სხვადასხვა სახის თაღლითობის განხორციელების რისკი.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ საკუთარი თანხების განკარგვისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსგავსი ტიპის შეთავაზება საეჭვო ან გაურკვეველი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებიდან მოდის. ნებისმიერი შეთავაზების შემთხვევაში, მომხმარებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს შეთავაზება ლეგიტიმურია და თაღლითობის ნიშნებს არ შეიცავს.

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ცხელ ხაზს – 2 406 406“.

ნატოს სამხედრო კომიტეტის სხდომას საქართველოსა და უკრაინის გენშტაბის მეთაურებიც დაესწრებიან

ამის **შესახებ ინფორმაციას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრესსამსახური ავრცლებს.**

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო კომიტეტის წევრები დღევანდელ სხდომაზე ნატოს სამომავლო გამოწვევებთან ადაპტაციის ინიციატივას „ნატო 2030“-ს განიხილავდნენ.

როგორც სხდომის დაწყებამდე გამართულ ბრიფინგზე კომიტეტის თავმჯდომარე სტიუარტ პიჩმა განაცხადა, ნატოს ადაპტაცია აუცილებელია, რადგან ალიანსის წინაშე მრავალი გამოწვევა დგას. მათ შორის სტიუარტმა დაასახელა რუსეთი.

„აგრესიული და გაძლიერებული ავტორიტატული ძალები, არასახელისუფლებო აქტორები და ტერორისტები გამოწვევის წინაშე აყენებენ წესებზე დამყარებულ საერთაშორისო წესებს. რუსეთი აგრძელებს აგრესიულ და დესტაბილიზაციურ ქცევას. მათ შორის უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, სამხედროების გაძლიერებას უკრაინის საზღვარზე, რაც ახლაც ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვნახეთ რუსეთის მხრიდან სამხედროების რიცხვის ნაწილობრივი შემცირება, ათობით ათასი ჯარისკაცი და მათი აღჭურვილობა უკრაინის საზღვრებთან კვლავ რჩება. რუსეთი ცდილობს, დააწესოს შეზღუდვები შავ ზღვაში. მათ შორის ცდილობს ქერჩის სრუტის გავლით აზოვის ზღვასთან წვდომის შეზღუდვას. ამიტომ, ნატომ უნდა შეინარჩუნოს სიფხიზლე და წვდომა ყველა რელევანტურ ზღვასა და საჰაერო სივრცეში“, – განაცხადა ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ.

ამასთან ერთად, სტიუარტ პიჩის თქმით, ნატო ღიას ტოვებს საკომუნიკაციო არხებს რუსეთთან, მათ შორის ნატო-რუსეთის საბჭოში. ალიანსში მწუხარება გამოთქვეს, რომ რუსეთმა უარი თქვა ნატოს ინიციატივაზე, გაიმართოს ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრა.

„ჩვენ მივისწრაფვით რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობებისკენ, როდესაც ამის საშუალებას მოგვცემს რუსეთის ქცევა“, – განაცხადა სტიურატ პიჩმა.

კახა კუჭავა: პარლამენტში უნდა ისმოდეს ყველა ამომრჩევლის ხმა!

ევროპარლამენტარები კიდევ ერთხელ ულოცავენ შეთანხმების ხელმომწერებს იმ არჩევანს, რომელიც უალტერნატივოა. პარლამენტში უნდა ისმოდეს ამომრჩევლის ხმა, საკითხების განხილვა უნდა ხდებოდეს პარლამენტში და ჩვენი ევროპელი პარტნიორები მოუწოდებენ ყველა არჩეულ პარლამენტარს მანდატით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, კახა კუჭავამ განაცხადა, რომელიც ბრიუსელში ვიზიტს მართავს.

მისივე თქმით, ევროპარლამენტარებს ქართველ პოლიტიკოსებთან კომუნიკაცია აქვთ.

„საქართველოს ამბიციური გეგმების განსახორციელებლად სჭირდება პარლამენტი, რომელიც სრულფასოვნად იმუშავებს. პარლამენტში უნდა ისმოდეს ყველა ამომრჩევლის ხმა და ეს ნიშნავს 150 დეპუტატის მონაწილეობას ამ პროცესში. ვიმედოვნებ ამასაც მალე მივაღწევთ და ქართველი ხალხი, ჩვენი პარტნიორები იხილავენ შევსებულ 150 ადგილს პარლამენტში“, — განაცხადა კახა კუჭავამ.

დროებითი საგამოძიებო კომისია 12 სპეციალურ მთვლელს დაიქირავებს, რომლებიც შედეგებს პირდაპირ ეთერში გადაითვლიან

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია 12 ე.წ. სპეციალურ მთვლელს დაიქირავებს, რომლებიც კომისიის თანდასწრებით, შედეგებს პირდაპირ ეთერში გადაითვლიან, — ამის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ, გივი მიქანაძემ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე განაცხადა. მისივე განმარტებით, კომისიის მუშაობის საკითხზე დასკვნას აპარატი მოამზადებს, რაც დამტკიცების შემთხვევაში ბიუროზე და პლენარულ სხდომაზე გავა.

„ეს ადამიანები განახორციელებენ გადათვლას, მაგრამ ჩვენ ვიქნებით დამსწრე, ზედამხედველი და იმის მაკონტროლებელი, რომ ეს პროცესი სწორად მიმდინარეობს.

იმისთვის, რომ საჯაროობა და ღიაობა უზრუნველყოფილი იყოს, მნიშვნელოვანი იქნება, რომ პროცესი ლაივსტრიმით პირდაპირ ეთერში იქნება გადაცემული. ასევე, კომისიის აპარატის ფარგლებში ჩვენ დავიქირავებთ თანამშრომლებს, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან საოქმო ჩანაწერებზე თითოეულ სხდომასთან დაკავშირებით, ასევე, საორგანიზაციო საკითხების მიმართულებითაც. ისევე, როგორც ერთი ადამიანი, რომელიც კომისიის მუშაობის ამსახველ დასკვნას მოამზადებს და შემდგომში ეს დასკვნა ჩვენ წარგვედგინება, რაც განიხილება კომისიის მუშაობის ფორმატში, მიღებული იქნება გადაწყვეტილება მხარს ვუჭერთ თუ არა დასკვნის ამ ფორმას. მხარდაჭერის შემთხვევაში კი, წარედგინება პარლამენტის ბიუროს და პარლამენტის პლენარულ სესიას შემდგომი განხილვა-დამტკიცებისთვის“, — განაცხადა მიქანაძემ.

„რუსთავი 2“-ის უძრავ ქონებას ყადაღა დაედო

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი2“-ის უძრავ ქონებას ყადაღა დაედო. გადაწყვეტილება კი სასამართლომ, არხის დამფუძნებლების, დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის სარჩელის საფუძველზე მიიღო, — ამის შესახებ ინფორმაციას ადვოკატი კახა კოჟორიძე ავრცელებს.

„კოჟორიძე და იურისტები“ საადვოკატო მომსახურებას უწევს რუსთავი 2-ის დამფუძნებლებს, დ.დვალსა და ჯ.აქიმიძეს. სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო რუსთავი 2-ის უძრავ ქონებას — მიწის ნაკვეთებსა და მათზე არსებულ ყველა შენობა-ნაგებობას.

აქამდე, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, დაყადაღებული იყო რ2-ის 60% წილი. ახლა, ასევე დაყადაღდა რ2-ის უძრავი ქონება სრულად. ჩვენ ასევე ვითხოვდით რ2-ის მოძრავი ნივთების დაყადაღებას და ქ.ხალვაშისთვის გარკვეული უფლებამოსილებების შეზღუდვას. ჯ.აქიმიძე და დ.დვალი ითხოვდნენ ზუსტად იმ ღონისძიებებს, რაც სასამართლომ ქ.ხალვაშის მიერ 2015 წელს შეტანილ სარჩელზე გამოიყენა. მიუხედავად ამისა, რ2-ის დამფუძნებელთა მიმართ სასამართლომ კვლავ შერჩევითად იმოქმედა და ამ ნაწილში მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რაც გასაჩივრდება კანონით დადგენილი წესით.

გამოვიყენებთ ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რომ რუსთავი 2 დაუბრუნდეს მის დამფუძნებლებს“, — ნათქვამია კახა კოჟორიძის განცხადებაში.



დმანისში მცხოვრები ქართველების „ეკომიგრანტებად მოხსენიება“ სახელმწიფოებრივი დანაშაულია!

დმანისში მცხოვრები ქართველების „ეკომიგრანტებად მოხსენიება“ ემსახურება ყოფითი ინციდენტის მაშტაბის გაზრდას, მის ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაყვანის მცდელობას და ისედაც არასახარბიელო ეთნიკური ბალანსის მქონე რეგიონში ეთნიკურად ქართული მოსახლეობის დაკნინებას, — წერს სოციალურ ქსელში საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე დმანისში განვითარებული მოვლენების შეფასებისას.

„პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დმანისში ჩავედი. აი რა ვნახე:

1. გუშინ დმანისში მომხდარი ამბები ნამდვილად წახალისებული იყო გარე ძალების მიერ, ვისაც აწყობდა ეთნიკურ კონფლიქტში გადაეზარდათ ეს ინციდენტი.

2. ტელევიზიების უმრავლესობა ცეცხლზე ნავთს ასხამდა და ნებსით თუ უნებლიედ, ფაქტიურად იგივე მიზანს ემსახურებოდნენ.

3. იქ მცხოვრები ქართველების „ეკოემიგრანტებად მოხსენიება“ არის მიზანმიმართული შეურაცხყოფა ამ ადამიანებისა, უფრო მეტიც, ეს სახელმწიფოებრივი დანაშაულია, რომელიც ემსახურება ყოფითი ინციდენტის მაშტაბის გაზრდას, მის ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაყვანის მცდელობას და ისედაც არასახარბიელო ეთნიკური ბალანსის მქონე რეგიონში ეთნიკურად ქართული მოსახლეობის დაკნინებას, სწორედ ეს უსამართლობა იყო მოსახლეობის მხრიდან ჟურნალისტებისადმი გამოვლენილი აგრესიის საფუძველიც.

4. ღვთის შეწევნით, მოსახლეობას ეყო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სახელმწიფოს ძალისხმევით, ადგილობრივი სასულიერო პირების ჩართულიბით, მათ შორის საპატრიარქოს მონაწილეობით, ერთმანეთთან ძმური მეზობლობის გარემოში ცხოვრების სურვილმა და სალმა აზრმა გაიმარჯვა ვნებებზე.

დიდი იმედია, ყველამ დავინახეთ, თუ რამდენად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს ყველასთვის, ემოციებს აყოლა, საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალის ხელში. ვუსურვებ მშვიდობას დმანისს და მთელს საქართველოს“, — წერს დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე.

დიდი იყო საფრთხე, დმანისში მომხდარი ინციდენტი ეთნიკურ კონფლიქტში გადაზრდილიყო!

დმანისში 17 მაისს განვითარებულ მოვლენებს აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი ეთიბარ ემინოვი და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხი რამინ იგიდოვი ეხმაურებიან.

მათი განცხადებით, დაპირისპირების ეთნიკურ კონფლიქტში გადაზრდის საფრხე არსებობდა.

„ძალიან სამწუხარო იყო ის, რომ აღნიშნულმა ინციდენტმა გადაინაცვლა ყოფითი დონიდან უკვე სამეზობლოში, ჯგუფებში, სოფლებში, რეგიონებში და საბოლოოდ არსებობდა საფრთხე, რომ ეს ეთნიკურ კონფლიქტშიც გადაზრდილიყო. უნდა დაისვას კითხვა, მიზეზი რა იყო აღნიშნული ინციდენტის, რატომ დასრულდა ამ შედეგით და როგორ შეიძლება შემდგომში განვითარდეს. აღმოჩნდა, რომ რეგიონში მსგავსი ინციდენტები ყოველთვის ხდებოდა, თუმცა მალევე სრულდებოდა და როგორც მოსახლეობა ამბობს, მსგავს შემთხვევებს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება არასდროს ჰქონია. არც საზოგადოებრივი რეაქცია არ ყოფილა და შედეგად, ადამიანებში დაგროვდა ეს ყველაფერი. გამოსავალი შერიგება იყო და ამას მივაღწიეთ.

ხშირად საზოგადოების მხრიდან არის ზეწოლა, თუ რატომ არ დაისაჯნენ კონკრეტული პირები. რეალობა ის არის, რომ ორივე მხრიდან ადვილობრივ მოსახლეობას ჰქონდა შერიგების სურვილი, რადგან ისინი ერთად ცხოვრობენ, მეზობლად არიან. გუშინ ასევე იყო ბლაგვი საგნების გამოყენება და ერთადერთი გამოსავალი არის დამნაშავის დასჯა, თუმცა ხანდახან ცუდსა და უარესს შორის ვაკეთებთ არჩევანს.

მომავალში არაფრისგან ვართ დაზღვეული, ამიტომ ჩვენი სურვილია სხვადასხვა პროექტის გამართვა, მათ შორის ერთობლივი სადღესასწაულო ღონისძიებების, ყოფითი საკითხების განხილვა, მოსაზრებების გაცვლა“, — განაცხადა საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხმა.

„აუცილებელია შემდგომში როგორც ღონისძიებების გატარება, ასევე ჩვენ მზად ვართ, საპატრიარქოსთან ერთად ორივე მხარეს ველაპარაკოთ“, — აღნიშნა ეთიბარ ემინოვმა.

ანაკლიის პორტის ბიზნესმოდელს და ახალ მარკეტინგულ სტრატეგიას MTBS დანერს!

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტომ კონტრაქტი გააფორმა ავტორიტეტულ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია MTBS-სთან (Maritime & Transport Business Solutions B.V.). ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, კონტრაქტის შესაბამისად, კომპანია უმოკლეს პერიოდში (8-9 კვირა) განაახლებს ანაკლიის პროექტისთვის ტვირთნაკადების პროგნოზსა და ბიზნეს მოდელს, ასევე, მოხდება ახალი მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება და საჯარო-კერძო პარტნიორობის ოპტიმალური მოდელის შერჩევა.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის გურამ გურამიშვილის განცხადებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული პროექტია, რასაც აღნიშნული პროგრესიც ადასტურებს.

„ჩვენი პროგნოზით, მიმდინარე წლის ბოლოს შევძლებთ, ინტერესთა გამოხატვის პროცედურის ჩატარებას უმნიშვნელოვანესი და სტრატეგიული პროექტისთვის ახალი ინვესტორის შერჩევის მიზნით.

ზემოხსენებული სამუშაოს შედეგების გათვალისწინებით, სააგენტო უზრუნველყოფს სატენდერო პაკეტის განახლებასა და ახალი ინვესტორის შერჩევის მიზნით საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების ინიცირებას. ახალი ინვესტორის შერჩევის მიზნით, ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდება მიმდინარე წლის ბოლოს“, — აცხადებს მინისტრის მოადგილე.

სამინისტროს ინფორმაციით, კომპანია MTBS (ნიდერლანდების სამეფო) საზღვაო სექტორში მსოფლიოს წამყვანი კომპანიაა. სანავსადგურო სექტორში მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: **პორტის განვითარების სტრატეგიებისა და გენერალური გეგმების შემუშავება, ფინანსური ანალიზი, დაფინანსების მოზიდვა, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება, ბაზრის ანალიზი, საკონსულტაციო მომსახურება ტენდერის პროცესში და ა.შ. კომპანიას სანავსადგურე სექტორში მსოფლიოს მასშტაბით აქვს ასობით დასრულებული და მიმდინარე წარმატებული პროექტი.**

კახა კალაძე:

მთავარი, რაც ჩვენმა გუნდმა შექმნა - ეს არის პლაცდარმი ყველა იმ რეფორმის განხორციელებისთვის...

მიუხედავად ბევრი გამოწვევისა, პანდემიისას, ჩვენ მუხლჩაუხრელად ვიმუშავეთ, ბევრი აღებული ვალდებულება შევასრულეთ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შევქმენით წინაპირობა — საკანონმდებლო ინიციატივებით, გენერალური გეგმის მიღებით, წამოწყებული რეფორმებით იმისთვის, რომ თბილისზე თავდადებულმა და მზრუნველმა ნებისმიერმა გუნდმა წარმატებით და დედაქალაქისთვის სასიკეთოდ განაგრძოს მუშაობა, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა თბილისის ურბანული პოლიტიკის ანგარიშის პრეზენტაციაზე ისაუბრა.

„ჩვენ თბილისის მოსახლეობამ აგვირჩია 4 წლით და წელს ეს ვადა იწურება. შესაბამისად, მე, როგორც არჩეული მერი, ვალდებული ვარ, საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია იმ პროექტებთან და იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც გაკეთდა ამ ოთხი წლის განმავლობაში.

თბილისი გამორჩეული ქალაქია თავისი ლანდშაფტით, კულტურით, ისტორიითა და მრავალფეროვნებით. ამ ქალაქში ერთად ვცხოვრობთ სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა აღმსარებლობის, საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა ღირებულებები, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ გვაქვს ერთი, რაც ყველას გვაერთიანებს. ეს არის ჩვენი ქალაქის სიყვარული და სურვილი, რომ თბილისი იყოს უკეთესი, ვიდრე იყო გუშინ და ვიდრე არის დღეს. ეს არის ის, რაც ყველას გვაერთიანებს განსხვავებების მიუხედავად.

მე, ჩემს გუნდთან ერთად, უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაფერს ვაკეთებდი და გავაკეთებ, რათა ჩვენი, სიცოცხლით სავსე ქალაქი კიდევ უფრო მეტად გავალამაზოთ, განვავითაროთ და დავამშვენოთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

როგორც დედაქალაქის მერმა აღნიშნა, ოთხი წლის განმავლობაში, მან და მისმა გუნდმა თვითმმართველობის არჩევნებზე წარმოდგენილი 7 ძირითადი პოლიტიკის განხორციელების მხრივ დიდი ძალისხმევა გასწია, კონკრეტული შედეგებიც დადო.

„პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით გვაქვს ძალიან კარგი შედეგები. გარკვეული მიმართულებით გვაქვს არსებითი წინსვლა, თუმცა, რა თქმა უნდა, გვრჩება გამოწვევები, რომლებსაც ერთად აუცილებლად დავძლევთ. ყველანი დამეთანხმებით, რომ თბილისი აღარ არის ისეთი, როგორიც ოთხი წლის წინ იყო და ჩვენი გუნდის მიერ განხორციელებული შვიდი ძირითადი პოლიტიკის შედეგები ქალაქზე დადებითად აისახა. ამ ყველაფერს, დარწმუნებული ვარ, ხედავს და სწორად აფასებს თბილისის მოსახლეობა, საზოგადოება, რომელსაც მივეცით დაპირებები. პირველად, რა თქმა უნდა, წარმოგიდგენთ შვიდი პოლიტიკიდან ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულების, ქალაქის ურბანული განვითარების შესახებ ანგარიშს. ურბანული მიმართულებით ჩვენ ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ და აქ არიან ადამიანები, რომელთა ძალისხმევით, მხარდაჭერით, თანადგომით, ჩვენ ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება განვახორციელეთ ურბანული მიმართულებით“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, წლების განმავლობაში, ურბანული თვალსაზრისით არასწორად ვითარდებოდა ქალაქი, მაგრამ მისმა გუნდმა, დარგის სპეციალისტების ჩართულობით, მრავალი ინიციატივა წამოიწყო.

„დღეს, ურბანული პოლიტიკის მიმართულებით, თბილისი არის ბევრად უფრო მოწესრიგებული, ბევრად უფრო კომფორტული და გამწვანებული ქალაქი. რაც მთავარია, ქალაქს აღებული აქვს სწორად განვითარების გეზი და აღარასდროს დავუბრუნდებით წარსულში არსებულ პრაქტიკას, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღებოდა ქაოტურად, თბილისისა და თბილისელების ინტერესების წინააღმდეგ, რაც დამაზიანებელი იყო ყველასთვის.

რა თქმა უნდა, ყველა მიმართულებით ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გამოწვევა არსებობს, რაც 20-30 წლის განმავლობაში დაგროვდა, თუმცა, მთავარია მონდომება, თქვენი მხარდაჭერა, რომელსაც ყოველდღიურად ვგრძნობთ და ამ ერთიანობით ყველა გამოწვევას გავუმკლავდებით“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

„მიმაჩნია, რომ ჩვენმა გუნდმა რაც შექმნა მთავარი — ეს არის საფუძველი, პლაცდარმი ყველა იმ რეფორმის თანმიმდევრულად განხორციელებისთვის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის და რაც აუცილებელია ევროპული თანამედროვე დედაქალაქის სწორად ფუნქციონირებისთვის, მოქალაქეების უსაფრთხო ცხოვრებისთვის.

მომავალში ამ რეფორმების გაგრძელებით, დარწმუნებული ვარ, თბილისი იქნება გამართული ურბანული პოლიტიკის მატარებელი ქალაქი, თანამედროვე სატრანსპორტო დაქსელვით, მწვანე ზონებით, ეკოლოგიურად სუფთა და ჰარმონიული გარემოთი.

მინდა მჯეროდეს, რომ ამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ბატალიები არ იმოქმედებს თბილისის განვითარებაზე და წინსვლაზე, არ იმოქმედებს რეფორმებზე და ის საშინელი ქაოტური პროცესი, რაც გამოვიარეთ თითქმის 30 წლის განმავლობაში, საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა და ის რეფორმები, რომლებიც დავიწყეთ, იქნება პერმანენტული და შეუფერხებლად განხორციელდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ჯერ ადრეა მერობის კანდიდატობაზე საუბარი!

ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. არჩევნები არის შემოდგომაზე და დაველოდოთ, **ჯერ ბევრი გვაქვს სამუშაო,** — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ ჟურნალისტებს კითხვის საპასუხოდ განუცხადა. კითხვა ეხებოდა, იქნება თუ არა ის თბილისის მერობის კანდიდატი.

„ჩემთვის არის უდიდესი პასუხისმგებლობა, ვიყო დედაქალაქის მერი. ძალიან კარგად მაქვს გათვითცნობიერებული ეს პასუხისმგებლობა. ყველაფერს ვაკეთებ ჩემს თანაგუნდელებთან და თანამშრომლებთან ერთად, რომ ღირსეულად გავართვა თავი. ოთხი წელი მთავრდება. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

არჩილ თალაკვაძე: თბილისის მერის არჩევნებში ჩვენი სრული მხარდაჭერა კახა კალაძეს აქვს

კონსულტაციები დაწყებულია და პარტიის თავმჯდომარე ამაზე კიდევ უფრო მეტს იტყვის. ჩვენ **სამზადისი უკვე დავიწყეთ თვითმმართველობის არჩევნებისთვის,** — ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერმა, არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„რაც შეეხება მერის კანდიდატურას, ჩვენი სრული მხარდაჭერა თბილისის მერის არჩევნებში კახა კალაძეს აქვს. ამაზე საბოლოო გადაწყვეტილებას გავაცნობთ საზოგადოებას. როგორც წესი, არჩევნებამდე 2-3 თვით ადრე წარვადგენთ კანდიდატურას და წელსაც ასე მოხდება. გუნდი არის ერთიანი, კონსოლიდირებული და რაც მთავარია, მომავალზე ორიენტირებული“.

ირაკლი კობახიძე: კალაძე არის დედაქალაქის საუკეთესო მერი!

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ კახა კალაძის მერობის კანდიდატად დასახელება მხოლოდ მის პოზიციაზეა დამოკიდებული. ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ კახა კალაძე დედაქალაქის საუკეთესო მერია.

„თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურად ვხედავთ, როგორ ვითარდება და ლამაზდება ქალაქი. კახა კალაძე არის დედაქალაქის საუკეთესო მერი. მე მგონია, რომ ამასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ 36 ათასივე წევრში არის ერთსულოვნება. რაც შეეხება კახა კალაძის კანდიდატობას, ეს მხოლოდ მასზე და მის პოზიციაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება კანდიდატების დასახელებას, ეს არჩევნებამდე ორი-სამი თვით ადრე ხდება ხოლმე. ჯერ არის დრო და ყველა კანდიდატი ერთად დასახელდება“, — განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, კობახიძემ აღნიშნა, რომ კახა კალაძის ანგარიშის პირველი პრეზენტაცია, იყო შთამბეჭდავი და ეხებოდა თბილისის ურბანულ განვითარებას. **„დარწმუნებული ვარ, ასეთივე შთამბეჭდავი იქნება მომავალი პრეზენტაციებიც“...** — აღნიშნა კობახიძემ.

2020 წელს დეპუტატების მიერ საჯარო უწყებებისთვის გაგზავნილი კითხვების 21 პროცენტს პასუხი არ გასცემია!

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა **2020 წელს დეპუტატების მიერ მთავრობისა და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოებისთვის გაგზავნილი კითხვები მიმოიხილა. 34 დეპუტატის მიერ გაგზავნილი 843 კითხვიდან 25-დღიან ვადაში პასუხი 552-ს გაეცა, რაც საერთო რაოდენობის 2/3-ზე ნაკლებია. შეკითხვათა 21%-ზე მეტს კი პასუხი საერთოდ არ გასცემია.**

კითხვების დიდი ნაწილი კოვიდის მართვასა და ხარჯების მიზნობრიობას ეხებოდა. იქნებოდა ეს საკარანტინე სივრცეების ქირაობა, ქუჩების მორეცხვა თუ ფრენების სუბსიდირება. უშუალოდ კოვიდზე მხოლოდ 29 კითხვა იყო დასმული.

ქუჩების მორეცხვაზე შვიდმა ქალაქმა 76 400 ლარი დახარჯა, ყველაზე მეტი — 27 000 ზუგდიდმა, ყველაზე ცოტა — 1800 დედოფლისწყარომ. ახალციხესა და ზესტაფონში კერძო კომპანიებმა სამუშაოები უსასყიდლოდ შეასრულეს. თბილისის, ბათუმისა და ფოთის მერიებს კითხვებზე პასუხი არ გაუციათ.

StopCov ფონდში შესული თანხების, მათი შემომწირველების და ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის წერილი თავდაპირველად 2020 წლის მაისში გაიგზავნა. ფინანსთა სამინისტროს პასუხის მიხედვით, ამ პერიოდისთვის ფონდში 133.5 მლნ ლარი იყო შესული, რომლის ხარჯვა არ იყო დაწყებული. რაც შეეხება, შემომწირველთა ვინაობას, კითხვის ავტორს განემარტა, რომ შემომწირველების შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც საჯაროდ განაცხადეს Stop Cov ფონდში თანხების ჩარიცხვის თაობაზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას. მოგვიანებით, ჯანდაცვის მინისტრისთვის გაგზავნილი წერილის პასუხად, კითხვის ავტორს ეცნობა, რომ ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში 18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის მიზნით, StopCov ფონდის ასიგნებებიდან 122.8 მლნ ლარი დაიხარჯა.

ყველაზე ბევრი 218 კითხვა ფრაქცია „ევროპული საქართველო — მოძრაობა თავისუფლებისთვის“ დასვა, საიდანაც 19% უპასუხოდ იქნა დატოვებული.

**ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘ�წᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲪᲮᲐᲓᲐ. ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲐᲡ ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ 11 000 ᲰᲐ-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲘ�წᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲮᲜᲐᲕᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲗᲔᲛᲝ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲘᲑᲔᲑᲘᲪ! ᲐᲛᲒᲕᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ წᲘᲜ ᲣᲫᲦᲝᲓᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ 2020 წᲚᲘᲡ 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ „ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲘ�წᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ“; ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲐᲛ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ Ა/წ 8 ᲐᲞᲠᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ 11 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲐ ᲔᲡ „ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲐ“: ᲠᲐᲘᲛᲔ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲗᲘᲑᲔᲑᲘᲡᲐᲪ (!), ᲘᲯᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚ 10 ᲰᲐ-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲬᲔᲡᲐ 25%-ᲘᲐᲜᲘ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲐ.

ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲡ!

ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ – „მიწის რესურსის ხელმისაწვდომობის“ ამგვარად გაზრდით, საკუთარ სამკვიდროზე ქართული სოფლის უფლება კიდევ უფრო მეტად შეიზღუდა, ვიდრე ოდესმე. სწორედ ეს – უპირობო პრივატიზების ე.წ. ხელმისაწვდომობა, წარმოადგენს სამკვიდროზე სოფლის უფლებათა შეზღუდვისა და, აქედან გამომდინარე, მისი გარდაუვალი ხელმოკლეობის უმთავრეს საწინდარს; უდიდეს საფრთხეს, რითიც ქართულ სოფელს, პირდაპირი მნიშვნელობითაც ფეხქვეშ ეცლება ნიადაგი, მისი სამკვიდრო. სამკვიდრო მოკლებული სოფელი კი, სადაც არ არსებობს სათემო უფლებები მარჩენალ მიწაზე, მათ შორის – სასიცოცხლოდ აუცილებელ სათიბებზე, განსაკუთრებით მთაში, უნიადაგოა, უფესვოა, განწირულია ან ხიზნობისთვის, ანდა სულაც უარესი: ეს მისი სამოქალაქო სიკვდილის განაჩენის ტოლფასია!

პრივატიზება მხოლოდ იმ შემთხვევაშია სასიკეთო, სასარგებლო და როგორც ისტორიულ სამართლიანობასთან, ასევე ეკონომიკურ მიზანშეწონილობასთანაც თავსებადი, როცა მკაფიოდ პირობადადებულია და არა ისეთი ყოვლად უსისტემო და სრულიად უპირობოდ გაყიდულ-განიავებული, როგორც ეს დღეს ხდება.

სისტემურობა მიწის გაყიდვის პირობადებას იმთავითვე გულისხმობს, რაც უწინარესად სწორედ ამას ნიშნავს: „პრივატიზება პრივატიზებისთვის“ კი არა, არამედ ისე, რომ სამართლიანად და ეკონომიკურადაც მაქსიმალური სარგებლიანობით, იმთავითვე სწორად განისაზღვროს როგორც ჯეროვანი გამყიდველი, ასევე ჯეროვანი მყიდველიც; არ უნდა დარჩეს არავითარი კითხვის ნიშანი – ვინ და რატომ ყიდის და ვინ და რისთვის ყიდულობს!

ᲡᲐᲐᲠᲐᲙᲝ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲘᲬᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲐᲓ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ; ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲐᲠᲐᲙᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲔᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲖᲔ, ᲝᲚᲝᲜᲓᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲐᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲝᲡ, ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲓᲐ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲘᲪᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲐᲓᲠᲘ, ᲡᲣᲠᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ – ᲫᲐᲚᲣᲫᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡᲗᲘᲡ – ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ.

არაერთგზის გვითქვამს: არა მხოლოდ საზარალო, არამედ სამარცხვინოა, როცა მიწის პოლიტიკის ერთადერთი განზომილება მისი უპირობოდ, თვითმიზნურად პრივატიზებაა და სხვა, არც არაფერი. ვერაფრით ვერ ვეღირსეთ ამ პოლიტიკის მყარი, სისტემური საფუძვლების შექმნას. ასევე, მრავალგზის გვითქვამს, თუ რა სჭირდება ამგვარი სისტემური საფუძვლების ჩამოყალიბებას და კიდევ ერთხელ, ყველას გასაგონად გავიმეორებთ მიწის სახელმწიფო პოლიტიკის ცივილიზებულ ამოსავალ პრინციპებს:

1. ᲛᲘᲬᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲒᲔᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲔᲗᲐ – ᲛᲘᲬᲐ ᲡᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲐ!

2. ᲛᲘᲬᲘᲡ, Ე.Ი. ᲡᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲡ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ, ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲫᲘᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲫᲘᲠᲔᲣᲚ, ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ (ᲔᲒᲖᲘᲡᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠ) ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡ!

3. ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲐ, ᲠᲐᲪ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1921 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ 116-Ე ᲛᲣᲮᲚᲨᲘ: „ᲛᲘᲬᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ (ᲐᲡᲔᲕᲔ ᲧᲣᲠᲐᲓᲡᲐᲦᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ – ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔ-14 ᲛᲣᲮᲚᲨᲘ: „ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ“).

ამ ფუნდამენტური პრინციპებიდან, რაც ნაწილობრივ გაზიარებული და ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, გამომდინარეობს კიდეც უცხოელების მიწათმფლობელობის შეზღუდვა **(იხ. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი)**, რაც, რასაკვირველია, დისკრიმინაციული ხასიათის სწორედ ამიტომაც არ არის.

ამ ფუნდამენტური პრინციპების ხორცშესხმისთვის მიწის სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას დღეს უნდა წარმოადგენდეს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის მკაფიო სამართლებრივი მოწესრიგება; ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად კი აუცილებელი იქნება მიწის კანონმდებლობის კოდიფიცირება, ე.ი. მიწათმფლობელობასა და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების სისტემატიზებული, კომპლექსური თავმოყრა „მიწის კოდექსში“.

სწორედ „მიწის კოდექსმა“ უნდა შექმნას ამ ეგზისტენციური ფუნქციის – მიწის ჯეროვანი მოვლა-პატრონობისა და დაცვის, მისი სასიკეთოდ გამოყენების, მიწის საჯარო პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები და ასეთი პოლიტიკის დემოკრატიულობის, ასევე მისი ეფექტიანობის მყარი გარანტიები;

მიწის საჯარო პოლიტიკა მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის აუცილებლობიდან (რის გარეშეც თანამედროვე ეფექტიანი და დემოკრატიული მმართველობა წარმოუდგენელია) გამომდინარე და სუბსიდიაროების ფუნდამენტური პრინციპის დაცვით ორ – სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე უნდა წარიმართოს; ხოლო ამისთვის აუცილებელია მიწის რეფორმის თანმიმდევრული, რაციონალური დაგეგმვა და გატარება;

მიწის რეფორმის ძირითადი მიზნები, გარდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფუნდამენტური მოწესრიგებისა, უნდა იყოს:

1) ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ:

ა) ისტორიული სამართლიანობის, მაშასადამე, საკუთარ სამკვიდრო მიწაზე ადგილობრივი თემის ტრადიციულ უფლებათა თანამედროვე ფორმით აღდგენა, რაც გულისხმობს ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის მუნიციპალურ საკუთრებასა და ადგილობრივი თემის მუდმივ, უსასყიდლო სარგებლობასა და მფლობელობაში გადაცემას;

ბ) იმ შეუწყნარებელი ვითარების, როდესაც სახელმწიფო კვლავაც რჩება ყველაზე მსხვილი და ამასთანავე სრულიად არაეფექტიანი მიწათმფლობელი, რაც შეიძლება დროულად გამოსწორება; სახელმწიფო საკუთრებიდან მუნიციპალურ საკუთრებას და ადგილობრივი თემის მუდმივ, უსასყიდლო სარგებლობასა და მფლობელობაში გადაცემული უნდა იქნეს, როგორც სასოფლო (უწინარესად საძოვრები და სათიბები, სათემო ტყე, წყლის ფონდის მიწა და არამარტო ეს), ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ყველა ის მიწა, რაც არ გამოიყენება კონკრეტული სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელების, ან სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებით, ან საერთო ეროვნული მასშტაბის ეკონომიკური პროექტებისთვის;

გ) მიწის ბაზრის მოწესრიგებისთვის აუცილებელია შემოღებულ იქნეს სოფლის მეურნის (ფერმერის) სტატუსი და დადგინდეს მიწის გაყიდვის დროს უპირატესი შესყიდვის უფლებათა შემდეგი რიგითობა: მკვიდრი სოფლის მეურნე (ფერმერი), სათემო კოოპერატივი, საქართველოს მოქალაქე არამკვიდრი სოფლის მეურნე, მუნიციპალიტეტი (იმ პირობით, რომ მიწა სათემო სარგებლობისა იქნება), სახელმწიფო;

2) ᲛᲘᲬᲐᲗᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ – ეროვნულ დონეზე 2022 წლიდან (და არა 2024 წლიდან, რასაც ითვალისწინებს სამთავრობო დადგენილება) უნდა აღდგეს მიწის სტრატეგიული მართვის, ე.ი. მიწათსარგებლობის აღრიცხვის (მიწის ბალანსის სისტემური წარმოების), სახელმწიფო რეგულირების (მიწათსარგებლობის მონიტორინგი, მიწის დაცვის ნორმების მიღება და მათ შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა) და მიწის რაციონალური გამოყენების სტრატეგიული დაგეგმარების, ტერიტორიის სივრცითი მოწყობის ფუნქციის, ხოლო ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეზე – ასევე მიწის ოპერატიული მართვის, ე.ი. მიწათმოწყობის (ადგილობრივი მიწათსარგებლობის აღრიცხვა და რაციონალური მიწათსარგებლობის ოპერატიული დაგეგმარება) ფუნქციათა განხორციელება.

სწორედ ამ სისტემური მიწის პოლიტიკიდან გამომდინარე უნდა მოწესრიგდეს მიწის პრივატიზებაც, მიწა უნდა გაყიდოს არა სახელმწიფომ (გარდა კანონმდებლობით ამომწურავად განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევებისა), არამედ მუნიციპალიტეტმა, კანონმდებლობით მკაფიოდ დადგენილი წესებითა და პირობებით, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მიწის შემძენი; კერძოდ, უნდა დადგინდეს სათემო მფლობელობაში მოქცეული მიწის პრივატიზების ის წესიც, როდესაც პრივატიზება დაიშვება მხოლოდ თემის თანხმობით და იმ პირობით, რომ კონკრეტული საზოგადოებრივი სარგებელი პრივატიზებიდან სწორედ თემმა უნდა მიიღოს; გარდა ამისა, მიწის პრივატიზებისას შემძენისთვის სავალდებულო უნდა გახდეს მიწათმოწყობისა და ტერიტორიის განვითარების გეგმების (რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ ნორმატიულ დოკუმენტებს) წარდგენაც, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისას – ფერმერის სტატუსიც.

ამ სისტემური საფუძვლების შექმნას, რასაკვირველია, აყოვნებს, უარესიც – ხელს უშლის და ეწინააღმდეგება დღევანდელი უსისტემო და უპირობო პრივატიზაცია.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲝᲕᲬᲔᲠᲓᲔᲑᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲝᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲮᲔᲚᲘ ᲐᲘᲦᲝᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲦᲝᲜᲝᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ: ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲡᲐᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲠᲚᲐᲜᲘᲐ, ᲒᲝᲒᲘᲢᲐ ᲫᲔᲠᲫᲐᲫᲔ, ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲚᲐᲑᲐᲠᲢᲧᲐᲕᲐ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔ, ᲒᲘᲐ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

...ერთი ამბავი მახსენდება ისტორიიდან: იმპერატორი ნაპოლეონი მორიგი ლაშქრობიდან გამარჯვებული შედიოდა საფრანგეთის იმპერიის ერთ-ერთ ქალაქში. როგორც იმდროინდელი წესი (და ტრადიცია!) მოითხოვდა, ქალაქი საზეიმო საარტილერიო ზალპით უნდა მისალმებოდა იმპერატორს. იმჯერად ქალაქის შესასვლელთან არანაირი საარტილერიო მისალმება არ ისმოდა. ნაპოლეონმა ჯარი შეაჩერა და ქალაქის კომენდანტის მოყვანა ბრძანა. მოუყვანეს!

— რატომ არ ისმის საარტილერიო მისალმებაო, — იკითხა იმპერატორმა.

— მაგისთვის სამი მიზეზი მაქვსო, — მოახსენა კომენდანტმა.

— ჩამოთვალეო, — ნაპოლეონმა.

— პირველი ის არის, რომ დენთი არ გვაქვსო, — დაიწყო ჩამოთვლა კომენდანტმა, მეორე კი...

ნაპოლეონმა ხელის აწევით გააჩუმა კომენდანტი:

— დენთი თუ არ გაქვს, კიდევ რა მიზეზი უნდა დაასახელო შე სულელოო, — თქვა ნაპოლეონა და ჯარი დაძრა.

არ ვიცი, ის კომენდანტი დახვრიტეს თუ თანამდებობიდან გაათავისუფლეს როგორც სულელი, მაგრამ ის კი მწამს, მოვლენა რომ გააცნობიერო, მისი გამომწვევი მიზეზთა მიზეზი უნდა დაინახო, ამ მიზეზთა მიზეზის აღმოფხვრის გზებზე იფიქრო და ეს ფიქრი გაუზიარო სხვებსაც. მეცხვარე თუ ხარ, მგელმა ცხვარი რომ არ გაგინადგუროს, მგლის დარწმუნება და სინდისზე შეგდება კი არ უნდა მოინდომო, არამედ მგელი მგრად უნდა ჩათვალო, ცხვარს საიმედო ფარეხი აუგო, იალაღზე კი ავი ძაღლები დაუყენო დარაჯად, თორემ ისე დაგემართება, როგორც ერთ ლიბერასტ (დემოკრატ!) მეცხვარეს დაემართა, მგლის თავზე სახარებას რომ კითხულობდა, მაშინ!

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, მეთქვა: ჩვენში უკვე წყლის ნაყვაა ლოკალურ თუ საერთო ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობა და მათი გადაწყვეტის მიზეზების ძიება საკადრო თუ ფინანსურ სფეროებში, ჩვენს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში და ა.შ., იმიტომ კი არა, რომ ამ ჩამოთვლილი, თუ ჩამოუთვლელი მიმართულებებით ნაკლი არ მოგვეძებნება, არამედ იმიტომ, რომ ამ ნაკლოვანებების გამოსწორების ცდა „წყლის ნაყვად“ იქცევა მაინც.

ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი



აღზრდის სისტემის გაუქმებით დაიწყო ქვეყნის, ერის მომავალი თაობის ზნეობრივ-ინტელექტუალური დაცემა!

სამი ათეული წელია საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს მკვიდრი მოსახლეობის (არა მარტო ეთნიკური ქართველების, არამედ ყველასი!) ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი. ეჭვი მაქვს, რომ მსგავსი უბედურება ნახევარ მსოფლიოზე მეტს დაატყდა თავს, საამისო არგუმენტებიც მომეძევება, მაგრამ ჩემი საქმე არ არის სხვათა საქმეების გარჩევა, მაშინ, როცა ჩვენი საქმე გვაქვს გასარჩევი და გასარკვევი.

ამ გაზეთის, 103 წლის „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს არ სჭირდება იმის ახსნა, რომ ხალხის ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი მის იმგვარ გადაგვარებას ნიშნავს, როდესაც მას სრულად აქვს დაკარგული მისი ეთნოტიპისა და მეტიც, მისი ბიოლოგიური გვარისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ამის საფრთხე არა მარტო სრულიად რეალურია, არამედ იგი უკვე კარზეა მომდგარი. ამის დამადასტურებელი მაგალითების მოძიებისათვის ბრძენთა ხმობა არ დაგვჭირდება, ქართული ტელევიზიების დიდი უმრავლესობის გადაცემების ნახვაც სრულიად საკმარისია. მათ შორის განსაკუთრებით ავადგამორჩეულია სამი არხი...

ქართველებისთვის დედის გინება რასაც ნიშნავს, ნორმალური ფსიქიკისა და ზნეობის კაცისათვის ამის ახსნა, ალბათ, საჭირო არ არის, რადგან საზოგადოება ჯერ კიდევ არ გადაგვარებულა სრულად. არა და, ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ დონეზე დედის გინება (ნებისმიერი ფორმით!) დანაშაულად არ ითვლება, რადგან დღევანდელი კანონი მასში რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას ვერ ხედავს. მართლა ხომ არ აღუსრულებია, ან ხომ არ უცდია იმის აღსრულება, რისი მუქარაც დედის გინებაშიაო, — ბრძანებს კანონმდებელი. ამიტომ, დედის გინება, თურმე, ემოციის (აღშფოთების) გამოხატვა ყოფილა და გამოხატვის თავისუფლებას კი ვერავის აუკრძალავ, რადგან დემოკრატიის პრინციპების ფეხქვეშ გათელვად მიიჩნევა ეს. ამიტომ, ჩვენს თვალწინ, პირდაპირ ეთერში, ცნობადი ტელესახეები — ტელეწამყვანები თუ ტელეარხის დირექტორები (ზოგიერთი იურისტობასაც რომ იბრალებს!) უშვერი სიტყვებით დედას აგინებენ დამსახურებულ, საზოგადოებისაგან პატივცემულ ადამიანებს, ნამდვილ კაცებს, რომლებმაც სადღაც სხვა ტელეარხებზე მათი მახინჯი გონებისათვის მიუღებელი აზრები გამოთქვეს. მერე ის ჭეშმარიტი კაცები რომ აღშფოთდებიან და იტყვიან, დედაჩემის შემგინებელს თუ სადმე გადავეყარე ცხვირ-პირს დავუნაყავო, ტელეეკრანზე „გამობრწყინდება“ ვინმე მამალი ლიბერასტი (იგივე პედერასტი!) და ქვეყანას იმის ქადაგებას დაუწყებს, რომ აგრესიული და დაუნდობელი ადამიანები კრიტიკულად განწყობილ ტელეჟურნალისტებს ფიზიკურად უსწორდებიანო!

ახლა იმ ლიბერასტ ექსპერტსა თუ უფლებადამცველს ვეკითხები: კაცისათვის სახალხოდ დედის შეგინება მართლა გამოხატვის თავისუფლება და კრიტიკული აზროვნების გამოძახილი გგონია? კაცისათვის-მეთქი, თორემ შენნაირებს კი არ ვგულისხმობ!

საზოგადოების ერთ დიდ ნაწილში ზნეობის გაქრობა მხოლოდ საჯაროდ დედის გინების თავისუფლებით როდი გამოიხატება. არა! ქრისტიანულ მორალში (და არა მარტო ქრისტიანულში!) ერთ-ერთ უდიდეს ცოდვად ცილისწამებაა მიჩნეული, რომელიც დღეს დანაშაულად აღარ ითვლება და ცილისმწამებელი კანონით არის დაცული, ანუ სახელმწიფოსაგან მხარდაჭერილია. ბოროტსა და უზნეო კაცს შეუძლია რაც უნდა ის დააბრალოს პატიოსან კაცს, პასუხს არავინ მოსთხოვს, პატიოსანმა კაცმა კი, თუ გულმა გაუძლო, უნდა ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ის საზოგადოება განა საზოგადოებად ჩაითვლება, სადაც ცილისმწამებლები და ზნედაცემულები გაპარპაშებულები არიან, პატიოსანი და ზნეობრივი ადამიანები — დაბრიყვებულები?

დაბრიყვებულები იქნებიან, აბა რა, როდესაც სახელმწიფო თავისი კანონებით, სახალხო დამცველის აპარატით, მკბენარებივით მომრავლებული არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებით, უსირცხვი-ლობის გაერთიანებებითა და ათასი ჯანდაბითა და ოხრობით ზნეობრივ ადამიანებსა და ადამიანურ ტრადიციებსა და ადათ-წესებს ებრძვიან, წესიერები კი, იმის მიუხედავად, რომ უმრავლესობა არიან, გათითოკაცებულები ებრძვიან უზნეობის შემოტევას შიგნიდან თუ გარედან და რას გახდებიან, ნეტავი! რას იზამ, ასეა: პატიოსანი ადამიანები მეტწილად მარტონი არიან, ვიდრე ზნეობრივი გმირი არ მოევლინებათ ბელადად!

რა დიდი დაკვირვება უნდა იმის დანახვას, როგორ არის წახალისებული და წაქეზებული ჩვენში ერთ-ერთი დიდი ცოდვა — სიცრუე. არა და, ნებისმიერი რელიგია სიცრუეს დიდ ცოდვად მიიჩნევს, ე.ი. სიმართლის თქმა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა. ამიტომაც გვეუბნება დიდი რუსთაველი: „...თავია სიცრუე ყოვლისა უბედოობისა“-ო. ჩვენში კი სიცრუე სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი და მოწონებული.

2008 წლის ხუთდღიანი „ომის“ შემდეგ ხელისუფლების მიერ საქართველოსათვის თავსმოხვეული პირველი სიცრუე ის იყო, რომ იმდროინდელი საქართველოს მთავრობამ რუსთაველის პროსპექტზე გამარჯვება აზეიმებინა გაბითურებულ ქართველებს, ხოლო მეორე სიცრუე ახლაც თავს გვახვევია: თუ იტყვი, ომი ცხინვალის რეგიონში ქართულმა მხარემ დაიწყოო, მოღალატედ და რუსეთის აგენტად გამოგაცხადებენ. ამის თქმისთვის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კინაღამ იმპიჩმენტით დასაჯეს.

ეს კი არა, ერთმა სასულიერო პირმა (მისი რანგი არ მახსოვს) ტელევიზიის ეკრანიდან დაგვმოძღვრა: საქართველოს ჯარი თავს დაესხა ცხინვალის რეგიონსო ვინც ამბობს, ქვეყნის მოღალატეაო. ეგ მართლაც ეგრე რომ იყოს, მაგის თქმა მაინც დანაშაულიაო.

სასულიერო პირი გვმოძღვავს, მართლის თქმა დანაშაულიაო. მეტი უზნეობა გაგონილა? სიცრუის თქმა ზნეობრივია და სიმართლის თქმა უზნეობა?! სწორედ ეს არის ზნეობრივი გენოციდის ერთობ საჩინო ნიშანი!

ე.წ. პოლიტიკოს შ. ნათელაშვილისაგან გადადგმული ერთი სწორი პოლიტიკური ნაბიჯიც კი არ მინახავს და არც მართლა პოლიტიკური სიტყვა მომისმენია მისგან, მაგრამ მისი ნათქვამი ერთი ისტორიული ხუმრობა სამუდამოს დარჩება ჩემსა და, საერთოდ, ქართველი ხალხის მეხსიერებაში: „ჰიტლერს რომ „რუსთავის-2“-ის მსგავსი ტელევიზია ჰქონოდა, გერმანელებს ახლაც არ ეცოდინებოდათ 1945 წელს ომი რომ წააგეს“-ო.

* * *

ჩვენი უშტურვალო „ხომალდი“, რომლის ეკიპაჟის არცერთ წევრს ნავიგაციაზე წარმოდგენაც კი არ აქვს, სადღაც მიექანება. „ხომალდის“ მმართველები გვარწმუნებენ, ჩვენი მიზანი ევროპასთან ინტეგრაციაა. შეიძლება ეს ასეც არის, მაგრამ ჩვენმა ხალხმა იცის რომელ ევროპასთან ჩასახუტებლად მივექანებით. ხომ არ ჰგონია ვინმეს, რომ იმ ევროპისკენ გვექაჩებიან ჩვენი ევროპელი სტრატეგიული მეგობრები, სადაც არიან პლატონი და არისტოტელე, ციცერონი და დანტე, შექსპირი და სერვანტესი, მოცარტი და ჩაიკოვსკი, ტოლსტოი და პუშკინი, თუნდაც ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონი. ხომ არ ფიქრობს ვინმე, რომ ლა მანშის სრუტის იქით რიჩარდ ლომგულის ინგლისი დახვდებათ, ან სენის ნაპირზე შარლ დე გოლის პარიზი? არა, ბატონებო! ინგლისში რაინდის წოდებასა და „სერ“-ის ტიტულს კაცზე გათხოვილ კაცს ანიჭებენ, პარიზში კი ეთნიკურ ფრანგებს ღამით გარეთ გამოსვლისა ეშინიათ, რადგან მათი „ლიბერასტული დემოკრატიის“ ფლაგმანი ჟურნალი „შარლ ებდოა“.

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნა დიდმა გერმანელმა მოაზროვნემ ოსვალდ შპენგლერმა გენიალური წიგნი „ევროპის მზის ჩასვენება“ (ქართული თარგმანის მიხედვით „ევროპის დაისი“). ასი წლის წინ თუ ევროპაში უკვე იყო კულტურის დაისი, ახლა იქ კუნაპეტი ღამეა, სწორედ. აი, რის წინაშე დააყენა ევროპა (დასავლეთი, საერთოდ) ზნეობრიობის ნეოლიბერალურმა გენოციდმა. აი, საით მიერეკებიან საქართველოს!

ორი კაცის ერთმანეთთან სქესობრივ კავშირში შესვლა, ანუ ორი კაცი რომ ერთმანეთის ცოლ-ქმარი იქნება, ზნეობრივი გენოციდია ეს, აბა, რა ჯანდაბაა!

ეს უბედურება არც ჩვენ და არც სხვებს თავს არ დაგვატყდებოდა, საზოგადოების ინტელექტუალური გენოციდი რომ არ მომხდარიყო დასავლეთში, რისი მცდელობაც ახლა წარმატებით მიმდინარეობს ჩვენში.

ვეკითხები განათლების (და სხვა რაღაცეების) ახლანდელ მინისტრსა და უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ამ პოსტზე მყოფ ადამიანებს:

დიდად პატივცემულნო, სკოლის მასწავლებლობა პროფესიულ საქმიანობად მიგაჩნიათ თუ არა? საერთოდ, პედაგოგობა პროფესია არის თუ არა? ზოოვეტერინარი პროფესიაა, აგრონომი პროფესიაა, ასენიზატორი პროფესიაა და მოზარდი თაობის აღზრდა-განათლება და სწავლება პროფესია არ არის?

დარწმუნებული ვარ, ისინი ჯერჯერობით ვერ გაბედავენ თქვენ არაო და თუ ასეა, კანონში რატომ ჩაწერეს, სკოლაში პედაგოგად შეიძლება დაინიშნოს ყველა, ვისაც ბაკალავრის ხარისხი აქვსო (ე.ი. აგრონომი, ზოოვეტერინარი, სანტექნიკოსი და ა.შ.). აგრონომი რომ ერთთვიან კურსებს გაივლის და მერე სკოლის მოსწავლეებს ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ისტორიისა და ა.შ. საგნების სწავლებას დაუწყებს, ინტელექტუალური გენოციდი სხვა კი არაფერია.

ამას გარდა, განათლების დარგის ხელმძღვანელებო, იცით თუ არა, რომ პედაგოგს მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის სწავლება კი არ მოეთხოვება, იგი მოსწავლის სოციალური განვითარების იმ მთლიან პროცესში უნდა იყოს ჩართული, რასაც პედაგოგიკის მეცნიერებასა და ფსიქოლოგიაში „აღზრდა“ ეწოდება. როგორც ჩანს თქვენც დაიჯერეთ ლიბერასტების დოგმა — აღზრდა პიროვნებაზე ძალადობაა, რომ ქადაგებენ და დაუჩემებიათ, სკოლამ უნარების განვითარება უნდა უზრუნველყოსო. ვისაც აღზრდა (ანუ სოციალური განვითარება) და საერთოდ განვითარება ერთი და იმავე ამოცანის გადაწყვეტა ჰგონია, პიტალო რეგვენია და ისე იცნობს პიროვნების სოციალური განვითარების ბუნებას, როგორც ვირი თავის ზურგზე გადაკიდებული კურტნის შიგთავსს.

ინტელექტუალური გენოციდის უკვე მიღწეული შედეგები ისევე აშკარაა, როგორც ზნეობრივი გენოციდისა. ყველა ხედავს (თუ თვალხილულია, რა თქმა უნდა!), რომ ბავშვების (მოზრდილებისაც!) დიდზე დიდი უმრავლესობა წიგნს არ კითხულობს. მარტო მხატვრულ ლიტერატურას კი არ ვგულისხმობ, სამწუხაროდ, სასწავლო ლიტერატურასაც.

იხ. 7 გვ.

წაყრუება ყველაზე მომგებიანი პოზაა!

ქართველი საზოგადოება ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდება ჩვენი სულიერი წინამძღოლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სამშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეს. ასე იყო წელსაც. და მოვისმინეთ, როგორც ყოველთვის, დიდი გულისტკივილით აღსავსე ეპისტოლე. ბედნიერებაა, როცა ქვეყანას ჰყავს ასეთი მრჩეველი, პირუთვნელი დამრიგებელი, მაგრამ... დიახ, მაგრამ შეგვიძლია კი შევისმინოთ, გავიაზროთ, სახელმძღვანელოდ გავიხადოთ მისი ყოველი რჩევა, შენიშვნა, შეგონება? სამწუხაროდ, არა...



ახლანდელ სააღდგომო ეპისტოლეში ყურადღება მივაქციეთ ერთ ძალიან მნიშვნელოვან შეფასებას: „მიზანმიმართულად ხდება ზოგადად არსებული ნორმების რღვევა, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების დაკნინება, განათლების დონის დაცემა, სიღრმისეული აზროვნებისთვის საფუძვლების მოშლა; „კრიზისული წესრიგის“ ფონზე კი ხელი ეწყობა ისეთი შემეცნების ჩამოყალიბებას, სადაც ეროვნული გრძნობები გამქრალია, სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა – გაყალბებული.“

არსებული ვითარების უმძიმესი შეფასებაა. ვთვლით, რომ ამ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება მართლაც შესანატრი საქმეა... დღევანდელი ჩვენი საუბრის თემა პატრიარქის და დედაეკლესიის ეს შეფასება იქნება, კერძოდ: „მიზანმიმართულად ხდება (...) განათლების დონის დაცემა“... „საქართველოს რესპულიკის“ მთავარი რედაქტორის კითხვებს დღეს უპასუხებს გამოჩენილი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

განათლების დონის დაცემა... მიზანმიმართულად!

— ბატონო გიორგი, ზედმეტად მკაცრი ხომ არ გეჩვენებათ ასეთი შეფასება — „მიზანმიმართულად ხდება (...) განათლების დონის დაცემა“?

— უპირველესად, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი უღრმესი პატივისცემა და მოკრძალება უწმინდესისა და უნეტარესისადმი და ამჯერად გულწრფელი მადლობაც ვუთხრა ამ პრობლემის ასე მკვეთრად და პრინციპულად წარმოჩენისთვის.

— სანამ კონკრეტულ საკითხებზე დავიწყებთ საუბარს, მინდა გკითხოთ: მიაღწევს მიზანს ეს შეფასება? მივა იქამდე, ვისაც ევალება ამგვარ საკითხებზე ფიქრი და საქმე?..

— მართალი ბრძანდებით, ბატონო რედაქტორო, გვაქვს ეჭვის საფუძველი: არაერთი ამგვარი შეგონება „აცდენილა მიზანს“... მადლობა თქვენ, რომ მსჯელობის თემად აქციეთ ეს, ჩვენთვის სასიცოცხლო პრობლემა... ვნახოთ, ჯერ ორიოდე კვირაა მხოლოდ გასული ამ ეპისტოლეს გამოქვეყნებიდან...

— ბატონო გიორგი, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, როგორ გესმით „მიზანმიმართული დაცემა განათლების დონისა“; უწმინდესის შეფასებაში ეჭვი კი არ შეგაქვს, არავითარი „ზედმეტად მკაცრი“ პატრიარქის შეფასება აბსოლუტურად ზუსტი და სამართლიანია! თქვენი აზრი მაინტერესებს: ვისი მიზანი შეიძლება ყოფილიყო ეს?

— ცხადია, არ შემიძლია ვთქვა, კონკრეტულად რა გახდა ამგვარი დასკვნის საფუძველი, შემიძლია ვისაუბრო, მე რა ასოციაციები გამიჩინა ამ ეპისტოლემ, ამგვარმა დასკვნამ და რატომ ვფიქრობ, რომ ჭეშმარიტებაა, რაც ბრძანა პატრიარქმა.

მოდით, ჯერ ის ვთქვათ, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის — საქართველოსთვის, ქართველობისთვს — განათლებას. გახსოვთ, 90-იან წლებში გააქტიურდა მოწოდება — **„განათლება გადაარჩენს საქართველოსო“**. უფრო ადრე აკაკი წერეთელმა შეკითხვა დასვა: **„ვინ არ ცის, რომ ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებულიო“**. აკაკისათვის ეს კითხვა რიტორიკული იყო, მაგრამ ამ კითხვას პასუხი აქვს — სამწუხაროდ, არ იცის იმან, ვისაც განათლების ბედი აბარია...

კონკრეტულ ფაქტს მოგახსენებთ: საუკუნეთა მიჯნაზე აღნიშნავდნენ — საერთაშორისო საზოგადოებამ საქართველო განვითარებად ქვეყნად აღიარაო; გვიხაროდა ეს ამბავი, გრანტები და დახმარებები უნდა მოჰყოლოდა ამ აღიარებას... მაგრამ აღმოჩნდა ერთი სერიოზული დაბრკოლება: განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკა, განათლება და კულტურა ერთ დონეზე უნდა ყოფილიყო... განათლების დონე ეკონომიკისას უნდა შეეფერებოდესო და „საჭირო გახდა“ ჩარევა ამ შესაბამისობის „მოსაგვარებლად“... ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და „სოროსის ფონდში“ შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც დაევალა „საგანმანათლებლო რეფორმის მომზადება“ (ამის შესახებ მოგვითხრობდა მოგვიანებით პოლიტიკოსი დავით ზურაბიშვილი, რომელიც იმჟამად „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი იყო); **ჯ. ლომაიასა** და **გ. თევზაძის** თავკაცობით შემუშავდა პროექტი საგანმანათლებლო „რეფორმისა“ (მომზადდა განათლების კანონთა ვარიანტები...); დაელოდნენ ხელსაყრელ მომენტს და, აი, 2003 წელიც მოვიდა... სწორედ მაშინ დაიწყო **„მიზანმიმართული“ ბრძოლა ქართული განათლების წინააღმდეგ**... სასწრაფოდ „განსახილველად“ გამოიტანეს უკვე გამზადებული კანონპროექტები უმაღლესი და სასკოლო განათლების შესახებ. შეშფოთდა ქართული საზოგადოება: ამ პროექტების კანონად ქცევა დაანგრევს განათლების სისტემასო, ხელისუფლებამ თავისი გაიტანა, ჩვენმა ბრძოლამ შედეგი ვერ გამოიღო... ამის თაობაზე თავის დროზეც და მერეც ბევრი დაიწერა... უმძიმეს შედეგებს ვიმკით დღესაც...

ერთ კონკრეტულ ფაქტსაც გავიხსენებ; ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ამბად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ იმ „დიდი“ გეგმის ნაწილი იყო:

2004 წელს განათლების მინისტრმა კ. ლომაიამ და პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ბერძენიშვილმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს და საზოგადოებას გააცნეს „კვლევის“ შედეგები: მეხუთე კლასელთა ნახევარმა არ იცისო წერა-კითხვა... ამ „შედეგების“ წარდგინება მოხდა სამინისტროში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტში... თითქოს საამაყო ფაქტი ყოფილიყოს — უნდა გაეგო ქვეყანას, ესაა ჩვენი განათლების დონეო... მაშინაც დავსვით ეს კითხვა: რა იყო მიზანი ასეთი „საზეიმო წარდგინებებისა“?..

— ამ პრობლემაზე თუ იყო შემდგომ საუბარი და თუ შეეცადა ვინმე მის გამოსწორებას?

— არანაირი კონკრეტული ღონისძიება არ დაუსახავთ, „ვითომდა პრობლემის“ გამოსასწორებლად... მთავარი იყო გაეგო ქვეყანას, ესაო ჩვენი დონე... ვართ ღირსი განვითარებადი ქვეყნის სტატუსისაო... და გაგრძელდა ისევ დასახული „რეფორმის“ განხორციელება... რამდენიმე მაგალითს მოგახსენებთ ამ „მიზანმიმართული“ ქმედებისა:

2010 წლამდე არსებული საგანმანათლებლო სტანდარტებით **პირველი უცხო ენა** სკოლებში ისწავლებოდა III კლასიდან; 2010 წელს ყოველგვარი განსჯის გარეშე, სააკაშვილის პირადი ინიციატივით გადაწყდა I კლასიდან ინგლისური ენის სწავლების დაწყება (ქართული ენის ხარჯზე)... თანამედრვე ფსიქოლოგიური მეცნიერების ცნობილმა წარმომადგენელმა, აკადემიკოსმა **შოთა ნადირაშვილმა** ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ამის თაობაზე; დასკვნა ასეთი იყო: „უცხო ენის სწავლების დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ენის შესწავლა მავნე ზემოქმედებას მოახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და შეაფერხებს მის განვითარებას“...

— ბატონო გიორგი, ეს ხომ ის აზრია, რაც იაკობ გოგებაშვილისაგანაც მშვენივრად ვიცოდით...

— მართალი ბრძანდებით. ასე ფიქრობდნენ იაკობ გოგებაშვილიც და პედაგოგიკის სხვა კლასიკოსებიც: უშინსკი, კომენსკი, პესტალოცი... ბ-ნი შოთა ნადირაშვილის დამოწმებით იმის თქმა მსურდა, რომ ეს საუკუნეობით განმტკიცებული აზრი მეცნიერებაში აქტუალურია დღესაც... ოღონდ არა იმათთვის, ვინც განაგებდა ქართული განათლების ბედს... გამოდის, რომ მიზნად დაისახეს „პირველი კლასიდან უცხო ენის შესწავლით მავნე ზემოქმედება მოახდინონ მოზარდის ფსიქიკაზე და შეაფერხონ მისი განვითარება!..“

— ძალიან მძიმე დასკვნებს ვაკეთებთ... ხომ წავიდა ის მავნებელი ხელისუფლება... თუ ასეთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ „რეფორმას“, აქამდე არაფერი თქმულა? რატომ არავინ ფიქრობს ვითარების შეცვლაზე?

— შეგახსენებთ, რომ აკად. შ. ნადირაშვილის პოზიცია ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე გამოქვეყნდა. ჩვენც ვწერდით და სხვებიც, მგრამ არც იმ ხელისუფლების დროს და არც შემდეგ ყურადღება არავის მიუქცევია... მოდით, ჯერ მე დავასრულებ საუბარს და ეს კითხვა შემდეგ იმას დავუსვათ, ვისაც ევალება პასუხის გაცემა...

ჩემთვის მეტად მტკივნეული საუნივერსიტეტო „რეფორმა“ გავიხსენოთ, 2004-2006 წლებში რომ განხორციელდა: თურმე გეგმა ამ „საუნივერსიტეტო რეფორმისა“ ლომაია-თევზაძის ჯგუფს 2002 წელს უკვე დასრულებული ჰქონდათ (დ. ზურაბიშვილი წერდა ამის თაობაზეც) და 2004 წელს დაიწყეს განხორციელება. ამას მოჰყვა მასობრივი პროტესტი; გემახსოვრებათ, თქვენს გაზეთში პირადად თქვენ აშუქებდით ამ მოვლენებს... შედეგები კატასტროფული იყო; ჩვენ ეს მასალები შევკრიბეთ და 2013 წელს წიგნად გამოვეცით („დედაუნივერსიტეტის ძნელბედობის ჟამი — 2004-2013“, თსუ გამომცემლობა, 316 გვ)... მინისტრი კ. ლომაია საჯაროდ დაიმუქრა **— „თბილისის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავთო“;**

„რეფორმის“ „მამამთავარმა“ გ. თევზაძემ ოფიციალურად განაცხადა, თსუ-სთან (უპირველეს უმაღლეს სასწავლებელთან!) არ ვითანამშრომლებთო და თავიანთი ბოროტი განაზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. ხუბუა დანიშნეს რექტორად (ეს ის ხუბუა იყო, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას პირველი აგური რომ გამოაცალა და დასანგრევად გაიმეტა...„ დაუფასა“ ლომაიამ ეს ავკაცობა...) და თსუ-ს „რეფორმა“ ბოლომდე მიიყვანეს... კი, ეს იყო სააკაშვილ-ლომაიას „მიზანდასახულობა“, მაგრამ შემდგომ არც შეფასება მომხდარა ამ „რეფორმისა“ და არც წამხდარი საქმის გამოსწორებაზე უზრუნია ვინმეს... ჰკითხეთ, ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, იურისტებს, ისტორიკოსებს და აგიხსნიან უნივერსიტეტის მაგალითზე რას ნიშნავს „მიზანმიმართული დაცემა განათლების დონისა“... ამ ხუთიოდე წლის წინათ თსუ გაზეთში ვრცელი წერილი გამოვაქვეყნე, „პირველ ქართულ უნივერსიტეტში ქართული ენა პრიორიტეტული აღარ არის“-მეთქი... წაიკითხეთ და ნახავთ, რას ნიშნავს „მიზანმიმართული დაცემა განათლების დონისა“ ქართული ენის სწავლების მაგალითზე... კითხულობენ, ყველა მეთანხმება, გამოსწორებაზე არავინ ფიქრობს... რატომ?

— კარგად მახსოვს უნივერსიტეტის მოვლენები... ჩვენ, „უნივერსიტეტელები“, თქვენ გვერდით ვიდექით; თუმცა ვერაფერს გავხდით კარგად გაწვრთნილ, სასაცილო და ყალბ „რეფორმატორებთან“, მაგრამ ეს იყო 15 წლის წინათ...

— იმჟამად საუნივერსიტეტო მოძრაობის რამდენიმე წარმომადგენელი კათოლიკოს-პატრიარქმა თავისთან მიგვიწვია; გამომშვდობებისას ჩვეულებისამებრ დაგვამშვიდა, ამბობენო, „წყალი მიდგება, მოდგება და თავის ნაგუბარში ჩადგებაო“... ჯერ ვერ ჩადგა „ნაგუბარში“... უბედურება რა არის, იცით? წინასწარ რომ იცი, შედეგი ასეთი იქნება და თავგამოდებით იბრძვი ამგვარი „რეფორმის“ წინააღმდეგ... დიახ, ესაა „მიზანმიმართული დაცემა განათლების დონისა“...

— ბატონო გიორგი, სახელმძღვანელოების უმძიმესი თემაც შემოვიტანოთ საუბარში...

— კეთილი. მაშინ ერთ „უმნიშვნელო“ ფაქტსაც გავიხსენებ: 2009 წელს გამოცხადდა კონკურსი პირველი კლასის საანბანე სახელმძღვანელოზე; 10 წიგნი შევიდა საკონკურსოდ (10 „დედაენა“!); მათ შორის უკეთესმა (ი. გოგებაშვილის „დედაენამ“, რომელიც საკონკურსოდ მოამზადა გოგებაშვილის საზოგადოებამ) მიიღო 98 ქულა (100-იდან), უარესმა — 17 ქულა. სამინისტრომ 10-ვე წიგნი დაუშვა სკოლაში სახელმძღვანელოდ!... (ფაქტობრიად, კონკურსის ნაცვლად რეგისტრაცია მოახდინა)... 17-ქულიანი (და მსგავსი) სახელმძღვანელოს დაშვება სკოლაში განათლების დონის დაქვეითებისთვის მიზანმიმართული ქმედებაა... მომდევნო წელს მინისტრი შეიცვალა (გვარამიას შაშკინი ჩაენაცვლა) და 98-ქულიანი „დედაენა“ საერთოდ ამოიღეს სწავლებიდან... ესაა ერთი კონკრეტული სავალალო მაგალითი მრავალთაგან... საერთოდ, სახელმძღვანელოების პრობლემის მოუგვარებლობა ასევე იმ „მიზანდასახულობის“ ნაწილი მგონია... ესეც საკმაოდ ვრცელი თემაა...

— ბატონო გიორგი, ამ კონტექსტში მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თემას ნუ დავტოვებთ უყურადღებოდ; მეცნიერების განვითარება საფუძველია მყარი საგანმანათლებლო სისტემისა... როგორი იყო აკადემიის წინააღმდეგ „მიზანმიმართული ქმედება“? ვიცი, რომ პრობლემები აქაც მრავლად იყო...

— ბატონო რედაქტორო, გეთანხმებით, „განათლების დონის დაცემასა და სიღმისეული აზროვნებისთვის საფუძვლების მოშლაზე“ როცაა საუბარი, სამეცნიერო სექტორის ბედზეც უნდა ვისაუბროთ. ესეც სააკაშვილ-ლომაიას რეფორმის ერთი ცენტრალური ნაწილი იყო... სანამ მეცნიერებათა აკადემიას მიადგებოდნენ, უმაღლესი სასწავლებელთა სამეცნიერო სექტორი ამოიღეს მიზანში: 2005 წელს ლომაიას ბრძანებით გაუქმდა უნივერსიტეტებში სამეცნიერო სექტორი და ჩვენს დედაუნივერსიტეტში 3000 კაცი ერთბაშად უმუშევარი დარჩა; და, რაც არსებითია, გაუქმდა უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ყველა კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, ცენტრი, კაბინეტი... ასეთ „რეფორმას“ რა შედეგი მოჰყვება, მოგეხსენებათ... ეს მოხდა 2005 წელს და ასეა დღესაც... მერე მასშტაბური შეტევა მოაწყვეს და ნაციონალურმა ხელისუფლებამ „გაიმარჯვა“ მეცნიერებათა აკადემიაზე — დაიმცრო და დაკნინდა მეცნიერებათა აკადემია — მთავარი საფუძველი განათლების სისტემისა... სწორედ ეს იწვევს „მიზანმიმართულ დაცემას განათლების დონისას“...

— რა გამოდის, იმ ხელისუფლებას სრულიად სამართლიანად ვაკრიტიკებთ, დანაშაულად მივიჩნევთ მათ საქმიანობას და... თითქმის ვჩერდებით, არ ვცდილობთ მათგან წამხდარი საქმის გამოსწორებას?

— ჯერ ჩვენ არ გვიპასუხია ბოლომდე, რას ნიშნავს „მიზანმიმართული დაცემა განათლების დონისა“ (რა თქმა უნდა, ჩემი აზრით); მაგ კითხვას ბოლოს ვუპასუხოთ... ერთი ფაქტიც: ბოლო წლებში რამდენჯერმე გამოქვეყნდა პედაგოგთა ატესტაციის შედეგები; საგანგაშო სტატისტიკა იყო: მოქმედ პედაგოგთა 80-90-მა პროცენტმა ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი... დავინტერესდი; აღმოჩნდა, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში უმარტივესი შეკითხვები იყო... მეტყვიან, მიზანმიმართულად ხომ არ დააქვეითეს პედაგოგთა დონეო. არა, მაგრამ იზრუნა ვინმემ ამ დონის ასამაღლებლად? ეს ხომ სწავლის დონის დაქვეითებას უწყობს ხელს!

— ბატონო გიორგი, ახლახან ჩვენს გაზეთში თქვენი უმწვავესი წერილი გამოქვეყნდა „ინტელიგენციის ქართული“; თქვენ კითხვა დასვით — „როგორი ქართული იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ (სტუდენტობამ), ჩვენი ინტელიგენციის ხვალინდელმა დღემ... ანუ, ვზრდით თუ არა ჭეშმარიტ ინტელიგენტებს?“ პასუხი საკმაოდ შემაშფოთებელი იყო. ეს ფაქტიც იმ „მიზანმიმართულ“ ქმედებათა შედეგია?

— იმ წერილში მოყვანილ ფაქტებს აღარ გავიმეორებ; უბრალოდ, ვიმსჯელოთ: 15-20 წლის წინათ (უფრო ადრე, მითუმეტეს!) ჰუმანიტარული ფაკულტეტების **პირველკურსელთა** ნახევარზე მეტს შეიძლებოდა ვერ ამოეცნო არსებითი სახელის ბრუნვა და რიცხვი? ანდა, ნახევარს სწორად ვერ ეპასუხა, შოთა რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე რომელი საუკუნის მოღვაწენი იყვნენ? შეიძლება გვეფიქრა, რომ მაშინ აბიტურიენტს არ წაეკითხა „ვეფხისტყაოსანი“, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა საპროგრამო თხზულებანი და მიეღო უმაღლესი (თუნდაც დადებითი) შეფასება უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე? — დღეს ეს შესაძლებელია უპრობლემოდ... დიახ, **მოხდა ცოდნის გაუფასურება!** ეროვნული გამოცდების პროგრამებში ყოველივე ეს ხომ არის ასახული? შესაძლებელია ჩატარდეს გამოცდები იმ პრინციპით, რომ საპროგრამო ნაწარმოებთა შესწავლა არ იყოს საჭირო? არ სჭირდებოდეს აბიტურიენტს სახელის ბრუნვისა და რიცხვის ცოდნა? მე ქართულის სპეციალისტი ვარ და სწორედ ამის შესახებ ვწერდი თქვენს გაზეთში (№89-90)... სხვა საგნების სპეციალისტები თავისას გეტყვიან; სხვაგან შეიძლება უარესი მდგომარეობა იყოს... არ არის ეს „მიზანმიმართული დაცემა ცოდნის დონისა“?..

— თქვენი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, განათლებისა და მეცნიერების სფეროში უბანი არაა დარჩენილი, პრობლემები არ იყოს... პოლიტიკოსები ამ თემებზე არ საუბრობენ; როგორ ფიქრობთ, ვერ ამჩნევენ ამ პრობლემებს თუ არ მიაჩნიათ ღირსად „დროის ხარჯვისა“?

— 2011 წელს, როცა არჩევნებისთვის ემზადებოდნენ, „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა კომისიები; განათლების, მეცნიერებისა და სახელმწიფო ენის კომისიებთან მეც ვთანამშრომლობდი. ყველა ეს საკითხი, რაზეც ვისაუბრეთ, იქ განიხილებოდა, საარჩევნო დოკუმენტებშიც აისახა ბევრი მათგანი... პირადად მეც პრესითა თუ ტელევიზიით არაერთგზის ვისაუბრე განათლებისა და მეცნიერების საკითხებზე... საბედნიეროდ, რაღაც საკითხები მოგვარდა; მაგალითად, რამდენიმეწლიანი მცდელობა **ი. გოგებაშვილის „დედაენის“** სკოლაში დაბრუნებისა სამინისტროსა და პარლამენტის მხარდაჭერით წარმატებით დასრულდა 2019 წელს... დიდი გამარჯვება იყო **„სახელმწიფო ენის კანონის“** მიღება (2015 წლის 22 ივლისი)... ასე იყო ჩაფიქრებული: ამ კანონის საფუძველზე შექმნილ **სახელმწიფო ენის დეპარტამენტს** უნდა ეზრუნა ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისათვის, მაგრამ... ჩვენ მკითხველს „საქართველოს რესპუბლიკაში“ აკად. ავთანდილ არაბულთან ახლახან გამოქვეყნებულ თქვენი ინტერვიუს სათაურს შევახსენებ: **„ᲪᲠᲣᲡᲐᲫᲛᲘᲜᲝᲑᲐ ᲛᲐᲙᲕᲓᲐᲠᲨᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡᲐ“**...

ამით სათქმელი ითქვა, მაგრამ... ახლა მე გკითხავთ: თქვენს გაზეთში, ბატონო რედაქტორო, ბოლო თვეებში ქართული ენის სწავლებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ პრობლემურ პუბლიკაციებს გამოეხმაურა ვინმე, ვისაც შეხმიანება ევალებოდა?

— სამწუხაროდ, არავინ... ნებისმიერ პოლიტიკურ საკითხზე მოვისმენთ მათ კომენტარს, გარდა განათლებისა და მეცნიერებისა...

— აგაშენათ ღმერთმა... ეს ის თემაა, რომელზე საუბარიც ძალიან შორს წაგვიყვანს... საბედნიეროდ, კიდევ ერთხელ ბრძანა პატრიარქმა, შეგვახსენა, გაგვიცნობიერა, გამოგვაფხიზლა... შემდეგ რა ხდება?

> **მე თუ მკითხავს კაცი, ეს თემა („მიზანმიმართული დაცემა განათლების დონისა“) სამთავრობო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს... მოხდება ვითომ ასე?... მეეჭვება... სხვა საკითხები რომ „მოგვარდება“, განათლებისთვის შეიძლება შემდეგ „მოიცალონ“...**

სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებში ერთი ფრიად საშიში ტენდენცია დამკვიდრდა: **„წაᲫრუᲔᲑა ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲞᲝᲖᲐᲐ!“**...

არადა, აკაკი წერეთელმა თქვა: **„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲝ!“** მჯერა, რომ ნამდვილად ასეა!..

ესაუბრა

სპარტაკ ქოგულია

ტელ: 599360035

ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი

(მეხუთე გვერდიდან)

მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა კომპიუტერის ეკრანზეა მიჯაჭვული: ვირტუალურ სამყაროში თამაშობენ, ინფორმაციებს მოიპოვებენ, აშენებენ, ანგრევენ, ჩხუბობენ, ომობენ, მეგობრობენ და ...საერთოდ, ცხოვრობენ. აი, ამ ჯადოსნურ ეკრანს თუ მოაცილებ მათ, მაშინ სოციალურად სრულიად უმწეონი არიან და აკადემიურად აბსოლუტურად უმწიფარნი. ამ პრობლემის სერიოზული სოციოლოგიური კვლევის შესახებ ჩვენში არაფერი მსმენია. ამიტომაც არის საზოგადოება ასე მშვიდად. სამაგიეროდ, ტელეჟურნალისტებისა და შოუმენების პროფესიულ საქმიანობაში ხშირად ძალიან კარგად ჩანს ახალგაზრდობის არა მარტო განათლებულობის, არამედ გონებრივი განვითარებულობის სავალალო დონე: ...რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთმა პოპულარულმა ტელეარხმა ახალგაზრდობის ინტელექტუალური (ან ინფორმირებულობის) პოტენციური შესაძლებლობების შემოწმება განიზრახა. რუსთაველის პროსპექტზე, პირველი სკოლის (გიმნაზიის) წინ გამვლელ სტუდენტებს აჩერებდნენ და ერთადერთ კითხვას უსვამდნენ: აგერ, პიედესტალზე ვისი ფიგურები დგასო. ასამდე სტუდენტიდან მესამედმაც კი ვერ უპასუხა: ილიასა და აკაკის ფიგურებიო. ხოლო „დინამოს“ სტადიონის მოპირდაპირე სკვერში მდგარი „მგოსნის“ ძეგლში ვერცერთმა ვერ ამოიცნო აკაკი წერეთელი.

დღევანდელი სკოლის (უმაღლესისაც!) მოსწავლეთა სახუმარო თუ სერიოზულ გამოკითხვებში ცოდნის ისეთი დონე მჟღავნდება, რომ ორმოცდაათი წლის წინანდელი ოროსანი მოსწავლე ოქროს მედალოსნობის კანდიდატად მოგეჩვენებათ.

წეღან რომ ვთქვი, თუ სიტყვამ მოიტანა-მეთქი, აი, სწორედ ახლა მოიტანა სიტყვამ და ვიტყვი: აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ევროპის საკითხებში ქ-ნმა ფსაკიმ ამ ორიოდე წლის წინ საჯაროდ განაცხადა: ბელარუსი თუ უკრაინის საქმეში ჩარევას შეეცდება, აშშ-ს მე-6 ფლოტი ბელარუსის საზღვრებს მიადგებაო. ჩემმა თანაკლასელებმა, უიმედო ოროსნებმაც კი იცოდნენ, რომ ვერანაირი საზღვაო ფლოტი ვერ მოადგებოდა ვერც ბელარუსიის, ვერც უნგრეთის, ვერც ჩეხოსლოვაკიისა თუ სომხეთის საზღვრებს. იმ დროს „ამდენი გეოგრაფია“ ამერიკელმა ოროსნებმაც იცოდნენ, ალბათ.

ისე, რომ ინტელექტუალური გენოციდი კარგა ხნის დაწყებულია!

გონიერი და პედაგოგიკის მეცნიერების მცოდნე ადამიანები იმთავითვე გრძნობდნენ, რომ ის რეფორმები, რაც შორეული „გულშემატკივრების“ კარნახით, განათლების ყოველი ახალი მინისტრი დანიშვნისთანავე იწყებდა, სასიკეთო გზით არ წაიყვანდა მოზარდი თაობის სოციალური განვითარების საქმეს. მინისტრები კი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს იცვლებოდნენ. მერე და, ვინ მოჰყავდათ ამ უმნიშვნელოვანესი სამინისტროს სათავეში, რომელზეც ქვეყნის მომავალია დამოკიდებული? ვინ და სანტექნიკოსები, ციხის ზედამხედველები, ნაპროკურორალები, ნაბუღალტრალები, ფილაფოსები (ანუ ფილოსოფოსები რომ ეგონათ თავი), ვაი-მეცნიერები, ათასი ჯურის რაღაცისტები და აზრად არავის მოსდიოდა პედაგოგიური საქმიანობის ხელმძღვანელად სწავლული პედაგოგი, ანუ განათლების მეცნიერებათა მცოდნე დაენიშნათ. ჰოდა, იმ სანტექნიკოსმა თუ გამინისტრებულმა ციხის ზედამხედველმა ტერმინ „აღზრდის“ გამოყენება აკრძალა სასწავლო-აღმზრდელობით (!) დაწესებულებებში, „სტრატეგიული პარტნიორების“ მითითებით, რა თქმა უნდა, თორემ პედაგოგიური ცნება-ტერმინებისა მათ არა გაეგებოდათ რა. აღზრდა ბავშვის პიროვნებაზე ძალადობააო! ბავშვი ისე უნდა მოიქცეს, როგორც უნდაო, პედაგოგი უნდა დაისაჯოს უსაქციელობისათვის მოსწავლეს თუ გაუწყრებაო!

აღზრდის სისტემის გაუქმებით დაიწყო ქვეყნის, ერის მომავალი თაობის ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი!

მომიტევეთ, ბატონებო, ჩემი ზოგიერთი განსჯა თუ ჭეშმარიტი კორექტულობის საზღვრებს გასცდა. დასკვნას კი ასეთს გავაკეთებ მაინც: ლოკალური თუ გლობალური საქვეყნო პრობლემების აღმოფხვრის ვერავითარი მცდელობა შედეგს ვერ გამოიღებს თუ იმ უკუღმართობის მიზეზთა-მიზეზი არ აღმოიფხვრა, რაც საფუძვლად უძევს თაობათა ზნეობრივ-ინტელექტუალურ გენოციდს.

კერძოდ:

— აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს მოსწავლეთა აღზრდის სისტემა;

— პედაგოგის პროფესიას, რომელიც „ყველაზე მნიშვნელოვანია მზის ქვეშ“ (კომენსკი) უნდა დაუბრუნდეს ძველი პესტიჟი და ტრიუმფით დაბრუნდეს სკოლაში;

— დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს პედაგოგიური უნივერსიტეტები თელავში, თბილისში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში;

— დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები თბილისში;

— სკოლის დირექტორი კვლავაც უნდა იყოს „სკოლის პირველი პედაგოგი, მასწავლებელთა მასწავლებელი“;

— განათლების სისტემის სათავეში უნდა იდგეს უმაღლესი რანგის სწავლული პედაგოგი, სამინისტრო კი დარგის პროფესიონალი სპეციალისტებით დაკომპლექტდეს;

— კვლავაც სახელმწიფო დონეზე უნდა დამტკიცდეს „მოსწავლეთა ქცევის წესები“, რომელსაც სამართლებრივი კოდექსის ძალა მიენიჭება;

— „ბავშვთა უფლებების დეკლარაცია“ უნდა შეიცვალოს „ბავშვთა უფლება-მოვალეობების დეკლარაციით“;

აი, მაშინ დაიწყება, როგორც განათლების, ისე ერისა და სახელმწიფოს აღორძინება.

სხვა ყველაფერი ფსევდოდემოკრატიული და ფსევდოლიბერალური სატყუარაა, რომელიც ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდის ხაფანგის კაუჭზეა წამოცმული.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ,



პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი.
555 56 75 37

P.S. **ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ!** თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, გაგიგონიათ სადმე, რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაში იმის პრეცედენტი არსებობდეს, რომ ამნისტიის კანონის მოქმედება ბრალდებულის თანხმობაზე იყოს დამოკიდებული? ასეთი კანონის შემოქმედებს შეიძლება იურისპრუდენციასთან, ან საერთოდ ლოგიკურ აზროვნებასთან რაიმე კავშირი ჰქონდეთ? ამ დონის იურისტები თუ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სხედან, იმ ქვეყანაში ინტელექტუალური გენოციდის პროცესის წარმატებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არსებობს?

რაც შეეხება მსოფლიო დონის ერთ უნიჭოდ დადგმულ წარმოდგენას, რომელიც ერთი ვიღაცის ციხეში ჩასმისა და მერე მისი იქიდან გამოდევნის „ეპოპეას“ ასახავს, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ევროკავშირის უმაღლესი რანგის ჩინოსნები და იმის მოლოდინიც არსებობდა, რომ ბოლოს და ბოლოს ნატოს სპეცოპერაციაც გახდებოდა საჭირო, კაცობრიობის ისტორიაში შევა როგორც გლობალური იდიოტიზმის მაგალითი. ამაში, ვფიქრობ, ნორმალური კაცი ეჭვს ვერ შეიტანს.

აშშ-მ და ევროკავშირმა ახლო აღმოსავლეთში ომი უნდა შეაჩეროონ

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა, ჟოზეფ ბორელმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან, ენტონი ბლინკენთან ისრაელსა და პალესტინაში ძალადობის დასრულების გზები განიხილა.

„სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან ვისაუბრეთ, თუ როგორ შეუძლია ევროკავშირსა და აშშ-ს, ერთობლივად შეიტანონ წვლილი ისრაელსა და პალესტინაში ძალადობის დასრულებასა და დაძაბულობის განმუხტვაში. ჩვენ ასევე გვჭირდება გრძელვადიანი ინიციატივები, რათა კონფლიქტის დინამიკა შევცვალოთ და აღვადგინოთ ყველასთვის მშვიდობიანი მომავალის პერსპექტივა“, — წერს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჟოზეფ ბორელი „ტვიტერში“.

ისრაელი „ჰამასის“ ტერორისტებს ანადგურებს

ისრაელის თავდაცვის ძალების ინფორმაციით, ღაზას სექტორში 150-ზე მეტი ტერორისტია ლიკვიდირებული, რომელთა უმრავლესობა „ჰამასის“ წევრი იყო. ისრაელის თავდაცვის ძალების პრესსპიკერის, ჰიდაი ზილბერმანის განაცხადებით, მოკლულ ტერორისტებს შორის არიან პალესტინური „ისლამური ჯიჰადის“ წევრებიც.

ღაზას სექტორის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კონფლიქტის გამწვავების შემდეგ, საერთო ჯამში, 200-ზე მეტი პალესტინელი დაიღუპა, მათ შორის 60-ზე მეტი ბავშვი. ისრაელის თავდაცვის ძალების ინფორმაციით, სამხედრო ოპერაციის ფარგლებში ქალაქებში ღაზაში და ხან იუნისში 15 კილომეტრის სიგრძის გვირაბების ქსელია განადგურებული. ავიაიერიშებში 60 თვითმფრინავი იღებდა მონაწილეობას, რომლებმაც 100-ზე მეტი ბომბით 65 სამიზნეზე მიიტანეს იერიში.

„რისხვის დღე“

პალესტინურმა ორგანიზაციებმა — „ფათჰმა“ და „ჰამასმა“ ე.წ. რისხვის დღე გამოაცხადეს.

ორგანიზაციებმა მოსახლეობას საერთო გაფიცვისკენ მოუწოდეს. პალესტინის ადმინისტრაციის პრეზიდენტის, მაჰმუდ აბასის მოძრაობა „ფათჰის“ განცხადებაში არის კიდევ ერთი მოწოდება, რომ პალესტინელები მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ისრაელის ძალებს უნდა დაუპირისპირდნენ. გავრცელებული ცნობით, საერთო გაფიცვის ფარგლებში, ქალაქ ტირაში გზები ავტომობილებით არის ბლოკირებული. ასევე დაიკეტება ყველა ეკონომიკური, სავაჭრო და საგანმანათლებლო დაწესებულება დასავლეთ ნაპირზე, აღმოსავლეთ იერუსალიმში, ღაზაში, პალესტინის სოფლებსა და ისრაელის ქალაქებში.

აშშ ისრაელს იარაღით მოამარაგებს

აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ისრაელს ამერიკული მაღალი სიზუსტის რაკეტებსა და სპეციალურ შეიარაღებას 735 მლნ დოლარად მიჰყიდის.

მისი ინფორმაციით, აშშ-ის კონგრესს გარიგების შესახებ ოფიციალურად ჯერ კიდევ 5 მაისს, ისრაელსა და ჰამასს შორის დაპირისპირების დაწყებამდე აცნობეს.

დაპირისპირება ისრაელსა და ჰამასს შორის უკვე ერთი კვირაა გრძელდება. ტერორისტებმა ღაზის სექტორიდან ისრაელის მიმართულებით ამ დროისთვის 3 000-ზე მეტი რაკეტა ისროლეს. ისრაელის საპასუხო საჰაერო დარტყმებს ღაზაში ბოლო მონაცემებით, 220 ადამიანი ემსხვერპლა. ისრაელში ჰამასის სარაკეტო იერიშების შედეგად დაღუპულია 10 ადამიანი.

ესაა, კაი სრული ვიცითო?..

ლიბანის ტერიტორიიდან ისრაელის მიმართულებით 6 რაკეტა გაუშვეს.

„ახლახან ლიბანიდან 6 რაკეტა გაუშვეს ჩრდილოეთ ისრაელის მიმართულებით. ყველა რაკეტა ლიბანის ტერიტორიაზე ჩამოვარდა. ამის საპასუხოდ, ჩვენმა საარტილერიო ძალებმა ცეცხლის წყარო გაანადგურეს“, — ნათქვამია ისრაელის არმიის განცხადებაში.



საიდან მცკვარი?

მტკვარი **საქართველოს მთავარი მდინარეა; მტკვარი ქართველთა „ემბაზი“ და „იორდანეა“; მტკვარი თბილისის პირველი ხუროთმოძღვარი და მისი არსებობის საფუძველია... მტკვარი ყველგანაა — ყოფაში თუ კულტურაში, ქალაქურ ფოლკლორში თუ პოეზიაში, მუსიკაში თუ ფილმებში, ფოტოებში თუ ნახატებში... მაგრამ საიდან გაჩნდა თვითონ სიტყვა „მტკვარი“? როგორია მტკვრის ეტიმოლოგიური ძირი?**

საქართველოში მტკვარი იგივეა მდინარეებში, რაც თბილისი — ქალაქებში. დემნა შენგელაიას დაკვირვებით, როგორც ძველი რომაელი თავის რომს, ასევე ქართველი კაციც თავის თბილისს „ქალაქს“ უწოდებდა:

„ქალაქში მივდივარო, რომ იტყვის, უნდა იცოდე, თბილისში მიდის, რადგან ეს ქალაქი მეტია თავისი აზრითა და მნიშვნელობით, ვიდრე სხვა რომელიმე ქართული ქალაქი“ („ლიტერატურული საქართველო“, 1965 წ. 06.11).

ასევე იყო მტკვარიც. ძველად როგორც „ქალაქი“ იყო თბილისის სინონიმი, ასევე „წყალი“ — მტკვრისა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ მნიშვნელობით ახსენებს „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ლეონტი მროველი წყალს:

„ხოლო ამან ადერკი მეფემან უმატა სიმაგრეთა ქართლისათა ქალაქთა და ციხეთა, და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა(!)წყლისა ამიერ და იმიერ“.

„მტკვარი — დიდი წყლიანი მდინარე“ — ასეთ განმარტებას ვკითხულობთ თედო სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანშიც“, სადაც მოტანილია ფრაგმენტი ავქსენტი ცაგარელის პიესიდან:

„ერთმა არტისტმა ქალმა აიჩემა და წამდაუწუმ იძახდა: ქა, გენაცვალეთ, ეს რამოდენა მტკვარი ყოფილა აქაო“.

თედო სახოკია აქვე შენიშნავს, რომ იმერეთში, კერძოდ სოფელ დიდ ჯიხაიშში შემორჩენილა სიტყვა — მომტკვარვა, **„რაიცა ნიშნავს ბლომად, აუარება წყლის დაქცევას, დაღვრას.“**

ერთ-ერთი ვერსიით მტკვრის სახელი უნდა მოდიოდეს **„თქორიდან“,** რაც, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, მეტად წვრილი წვიმაა. მტკვარზე დაწერილი წიგნის, „მტკვარი საქართველოს დედამდინარე“, ავტორი ვალერიან ზუხბაია შენიშნავს, რომ სამეგრელოს ტერიტორიაზე მიედინება უხვწყლიანი მდინარე სახელად თიქორი.

...მაგრამ ქართულ ენაში ასევე არსებობს ასეთი სიტყვა: **„მტკუეფრობა“, რომელსაც იგივე სულხან-საბა ასე განმარტავს: „მტკუეფრობა არს მრავალთაგან მიხვევა“.**

„მდინარე მტკვარიც ხომ მართლაც მიხვეულ-მოხვეულია. იბადება კითხვა „ტკუეფარი“-დან როგორ მივიღეთ „მტკუარი“ ძველი, ხოლო „მტკვარი“ ახალი ფორმით? ამის მსგავსი მაგალითი ტოპონიმიკაში ბევრია. ავიღოთ მაგალითად „ზედაზენი“. ცნობილია, რომ მას ადრე ეწოდებოდა „ზედა ზადენი“, მაგრამ „ად“ — სიტყვის შუა ნაწილი ამოვარდა და მივიღეთ „ზედაზენი“. ასევე „მარტოყოფიდან“ მივიღეთ „მარტყოფი“ . „მტკუეფარიდან“ ჩანს მიღებული „მტკვარი“, ე.ი. სიტყვიდან ამოვარდნილა „ეფ“, „მტკუარიდან“ კი მიღებულია თანამედროვე გამოთქმით და დაწერილობით „მტკვარი“ (ჯ. ლომაშვილი, „მტკვრის ეტიმოლოგიისათვის“).

ლომაშვილი ასევე ახსენებს სვანურ სიტყვა „მტყვარს“, რომელიც მღვრიეს, ამღვრეულს ნიშნავს.

მტკვრის ეტიმოლოგიურ ძირს ეძებენ ჭანურშიც, სადაც ზმნა **„ტკვარ-ტკვალ“ ითარგმნება როგორც „დენა“.**

„ტკვარი — დენაა, „მტკვარი“ — მდინარეა. მაშასადამე „მტკვარი“ მდინარეს ნიშნავს“. („სოფლის ცხოვრება“, 1982 წ. ტ156).

ვალერიან ზუხბაიას თქმით, აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ არ გამორიცხა, რომ სახელწოდება მტკვარი მომდინარეობდეს კოლხურ-მეგრული სიტყვიდან — ტკვარუა, რაც მტვრევას ნიშნავს:

„მტკვრის სათავე — კოლა ძველ კოლხეთში მდებარეობდა... ცნობილია, რომ მესხეთში დღესაც გვხვდება მეგრული ტოპონიმები: ნაბონა, ჯინჯიგორა, ბერაყები, ოდუნდა, ოქვიეთი, ოხონა და სხვ. შესაძლებელია სახელწოდება მტკვარი მორფოლოგიური ცვლილებებით მეგრული სიტყვა ტკვარუა, ტკვარილიდან მომდინარეობდეს“.

ცალკე მსჯელობის საგანია „მტკვრის“ გადატანა უცხო ენებში. როგორ მოხდა ისე, რომ საკუთარი სახელი „მტკვარი“ უცხო ენებში გადავიდა არა ტრანსლიტერირებული, არამედ ტრადიციული (უცხოენოვანი) ფორმებით?

ფრანგი მოგზაური, ჟან შარდენი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ამბობდა მტკვარზე, გეოგრაფები „კირსა“ და „კორუსს“ უწოდებენო. რუსულადაც მტკვარი Кура-ა და არა Мтквари.

რატომ?

ამ კითხვის პასუხად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. გვახარიამ 1963 წლის 27 დეკემბრის გაზეთ „თბილისში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „რატომ ეწოდება მტკვარს რუსულად „კურა“? ქართველი მეცნიერი წერდა:

„მტკვარს, საქართველოს მთავარ მდინარეს, სახელი ქართველებმა დაარქვეს, მაგრამ ისე მოხდა, რომ მისი ქართული სახელწოდება არ გავრცელდა და მსოფლიოს ყველა ენაზე (მათ შორის რუსულადაც) ამ მდინარეს „კურას“ ან „კურს“ უწოდებენ. ერთი შეხედვით, მტკვრის ქართულ და რუსულ სახელ წოდებებს შორის თითქოს არავითარი კავშირი ან მსგავსება არ არსებობს (მტკვარი — კურა), მაგრამ როგორც ეს გვიჩვენეს მკვლევრებმა, სახელწოდება „კურა“ ყოფილა ნაწარმოები ამ მდინარის ქართული სახელწოდებიდან „მტკვარი“.

როგორია მტკვრის КУРА (კურა)-დ გადაქცევის გზა?

ქართული ენისათვის დამახასიათებელია სიტყვაში რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრა; მაგალითად, „მტკვარში“ ერთმანეთს მისდევს ოთხი თანხმოვანი — მტკვ. სხვა ენები, რომლებიც ძველად გარს ერტყნენ ქართულს, ვერ იტანდნენ თანხმოვანთა ასეთ თავმოყრას და მათ შორის ჩართავდნენ ხმოვანს, ან რომელსამე თანხმოვანს უკუაგდებდნენ ხოლმე. ჩვენ შემთხვევაში სიტყვა „მტკვარმა“ ბერძნულ და თურქულ ენებში გადასვლისას დაკარგა ორი თანხმოვანი „მტ“ და მიიღო სახე — კვარი. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ კომპლექსი „ვა“ ქართულშიც კი წინათ ხშირად იცვლებოდა „ო“ ხმოვნით (მაგალითად ცხვარი — ცხორი), და ასე გადადიოდა უცხოურ ენებში, ცხადი გახდება, თუ როგორ იქცა სიტყვა „მტკვარი“ „კორად“: მტკვარი — მტკორი — კორი. ძველი ბერძნები მტკვარს „კორს“ უწოდებდნენ. დროთა განმავლობაში სახელწოდება „კორიც“ გადასხვაფერდა და იქცა „კურად“. რუსულ ენაში მტკვრის სახელწოდება შევიდა ბერძნულიდან და ამიტომაც მას რუსულად „კურას“ უწოდებენ“.

მოკლედ, ჯერ იყო მდინარე, შემდეგ ბუნდოვანი პერიოდი „მტკვრობამდე“ და შემდეგ ყველა სხვა სახელი: კურა, კირი, ქურ, კორი, კიროსი და ა.შ. თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებითაც, „კვიროსმა“ (კიროს II დიდი) მდინარე მტკვარს უწოდა თავისი სახელი — კირო, რომლის გამო, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, „აწ სპარსნი, თურქნი და ევროპიელნი, ვითარცა რუსნიცა უმეტესნი უწოდებენ მას ქურად, მაგრამ ყოველნი ერნი ზემოისაცა და ქვემოისაცა ივერიელნი, ესე იგი სრულიად ქართლოსიანთანი, უწოდებენ მდინარესა უძველესისა სახელითა თვისითა მტკვრად, ვინაიდგან უწინარეს კიროსისაცა ეწოდა მტკვარი მრავალთასა უკუნითგან პირველ.“

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ

ᲠᲕᲐ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, როდესაც ყმაწვილად ხმობილი ასაკისა, სიჭაბუკის ქალაქს ვეწვიე, ბინა გამზირზე მდებარე ოთხსართულიანი სახლის მეორე სართულზე დავიდე და რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც პირველ სართულზე ბიბლიოთეკა აღმოვაჩინე. არადა, სახლში, სამამულო ომში დაღუპულმა მამამ ერთადერთი სიმდიდრე, მდიდარი ბიბლიოთეკა დამიტოვა. წიგნებიც იქიდან შევიყვარე.

რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკას იქიდან დავუმეგობრდი. მას ჩინებული ქალბატონები, ჯერ ალექსანდრა ლორთქიფანიძე, მერე კი ომგადახდილი, საბრძოლო ორდენებით მკერდდამშვენებული, უკეთილშობილესი ქალბატონი, თამარ ყურაშვილი ხელმძღვანელობდა. ერთხელაც, ბიბლიოთეკის მისაღებში პატარა, თვალუუჟუნა გოგონა გამოჩნდა. ასე გავიცანი მაშინ ლია ბეჟანიშვილი. დიდებული ოჯახიშვილი, ყველასთვის სათაყვანო ლამისყანელი...

...და აი, რაოდენ გამაოცა, როდესაც დიდი მოკრძალებით საბავშვო ლექსები წამიკითხა. ეს მოულოდნელი აღმოჩენა იყო. ლექსები მართლაც დიდებული იყო და საბავშვო პოეტებს შორის იმთავითვე დაიმკვიდრა პირველობა. პირველი ლექსის კრებულის რედაქტორიც მე ვიყავი. ასე დაიწყო ბიბლიოთეკარის პოეტური ცხოვრება. ლია ბეჟანიშვილი განსაკუთრებული ხელწერის მქონე ავტორია. შეუძლებელია გულგრილად წაკითხვა იმ პოეტური მარგალიტებისა, რომლებიც მყისიერად გვაბრუნებს ბავშვობაში და ყრმობისას განცდილს, ნანახსა თუ მოსმენილს ჩვენს თვალწინ აცოცხლებს.

მანამ კი, ერთმა კოლხმა ვაჟკაცმა, როლანდ ღვინერიამ, თვალი დაადგა. აბა, ხელიდან რას გაუშვებდა ამისთანა, ყოვლად შემკობილ გოგონას... ჰოდა, ასე გახდა ოჯახის დედა, ორი შვილისა და შვილიშვილების ბებია. თუმცა ასაკი, რა თქმა უნდა, ვერაფერს აკლებს და ისევ ძველებურად მშვენიერობს. არადა, ამ წლების განმავლობაში ჯერ მანამ ერთადერთ, აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში, შემდეგ ილია ჭავჭავაძის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მის ხელდასხმით რუსთაველმა მკითხველმა ათასობით წიგნი, ქართული თუ უცხოური ლიტერატურა, გაითავისა. მართალია, ამ, კოვიდპანდემიამ" მკითხველი დააფრთხო, მაგრამ თავგადაკლულ წიგნის მოყვარულთ რა დააკავებს და ამ მძიმე დღეებშიც კი არცთუ იშვიათად აკითხავენ.

ისევ კალამი გაგვექცა, არადა, არ შეიძლება ლიას დამსახურების, დაფასებისა და ჯილდოების განზე დატოვება. ალბათ, იშვიათია ბიბლიოთეკარი, რომელსაც ამდენი „სამკაული" მოეხვეჭოს. ბიბლიოთეკაში მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე მრავალი ჯილდო და სიგელი აქვს მიღებული. 2019 წელს, ქვეყნისა და ჩვენი ქალაქისთვის გაწეული ღვაწლისთვის, მინიჭებული აქვს „წლის რუსთაველის" წოდება. მისი საბავშვო ლექსები და მოთხრობები (მოთხრობებსაც წერს, თანაც ფრიად საყურადღებოს), შესულია სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემებში: ანთოლოგიებში, ლიტერატურულ ჟურნალებსა და კრებულებში. მათ შორის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ერთობლივი პროექტით გამოცემულ წიგნებში: „ბიბლიოთეკარი პოეტი" და „ბიბლიოთეკარი პროზაიკოსი".

სიყვარულითა და სითბოთი სავსე ქალბატონი, ალბათ, მეტ მკითხველს იზიდავს ანდამატივით. წიგნიც შეიძლება იმადაც შეიყვარო, როდესაც წიგნების სამფლობელოში ასეთი მშვენიერი, სითბოთი და სიყვარულით სავსე მასპინძელი ბიბლიოთეკარი დაგხვდება. წიგნების სამყაროში მე არ მეგულება მეორე ბიბლიოთეკარი, თუნდაც პოეტი, საბავშვო მოლექსე და ლამაზი მოთხრობების მთესველი, ვისაც ამდენ კონკურსში გაემარჯვოს და ასეთი წარმატებული ჯილდოები მოეპოვებინოს.

ჩვენი ლიანა, წიგნების დედოფალი, საბავშვო მწერლობაში შეტანილი წვლილისთვის შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატია. ასევე მინიჭებული აქვს: ილია ჭავჭავაძის პრემია „ივერია"; ქართული კულტურის ამაგდარის წოდება, იაკობ გოგებაშვილის მედალი. ყველა ჯილდოს ვერ ჩამოვთვლით...

ასაკი... ასაკს ქალბატონებს არ ეკითხებიან, არც ლია (ელენე) ბეჟანიშვილს სჭირს სამაგისოდ რამ, რომ ასაკი დავეკითხო. ის ხომ, თითქმის ისეთივეა, როგორც მაშინ, პირველად ბიბლიოთეკაში წიგნის თაროებს რომ მიესათუთა და დღესაც ისევ ისე რომ ემშობლიურება.

ᲒᲘᲕᲘ ᲯᲐᲮᲣᲐ,
Ქ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲡ

ᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ?!

ᲠᲐᲪ ᲛᲝᲡᲓᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲗᲐ!

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ გამოცხადების დღიდან საქართველოს რესპუბლიკას პერიოდულად ოთხი ერთპარტიული ხელისუფლება მართავდა. ყველაზე ხანმოკლე გამსახურდიას მთავრობა იყო – ერთი წელი, – ყველაზე ხანგრძლივი შევარდნაძის პარტია „ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲫᲔᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ" – 12 წელი, შემდეგ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ" და „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ" – 9-9 წელი.

ხელისუფლების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმია: გააკეთა თუ არა ქვეყნისთვის და ხალხისთვის წინამორბედზე უფრო მეტი კარგი, – გააკეთა თუ არა მან ხელისუფლებაში ყოფნისას უფრო მეტი კარგი, ვიდრე ცუდი. უცოდველი ზემოთაღნიშნული არც ერთი ხელისუფლება არ იყო! მძიმე შეცდომებიც ჰქონდათ.

ვაგლახ, რომ გამსახურდიას რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა, რომელიც ვერ ეგუებოდა გამსახურდიას პოლიტიკას, არ აცალა ქვეყნის მართვა. – სამშობლოს გამყიდველების, მოღალატეების მეშვეობით პუტჩი მოუწყო და ჩამოაშორა ხელისუფლებას. სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში თავშეფარებული საქართველოს პირველი პრეზიდენტი რუსეთის სუკ-ის ქილერმა წუთისოფელს გამოასალმა და აფხაზეთის დათმობის, საქართველოს დსთ-ში შეყვანის, მთავრობის საკვანძო თანამდებობებზე მის მიერ შერჩეული პირების დანიშვნის საფასურად – თავის ნაცვალი შევარდნაძე გააპრეზიდენტა.

დროთა განმავლობაში შევარდნაძე ელცინისთვის შეუვალი გახდა, მისი ხელისუფლებიდან მოცილება გადაწყვიტა და თავის წარმოგზავნილი, საქართველოს სუს-ის უფროსით, რუსეთის სუკ-ის აგენტით – იგორ გიორგაძით ჩანაცვლება განიზრახა.

გიორგაძემ შევარდნაძის ჩამოშორება ვერ შეძლო და მისი მოკვლა სცადა. მანქანა ტერორისტებმა ააფეთქეს, შიგ მჯდომი შევარდნაძე გადარჩა. მოსკოვში მეთვალყურედ ჩასულ, საპრეზიდენტოდ გამზადებულ იგორ გიორგაძეს ჩაფუშული ტერაქტის გამო თბილისში არ ჩამოესვლებოდა, ციხე ელოდებოდა და მოსკოვში დამკვიდრდა.

ელცინმა ვერ მოახერხა შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოშორება. მიხეილ სააკაშვილმა, ნინო ბურჯანაძემ და აწ განსვენებულმა ზურაბ ჟვანიამ, ხალხის და თავიანთი პარტიის თანადგომით, ხელისუფლებაში მარად ყოფნას მიჩვეული შევარდნაძე 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების მორიგი გაყალბების გამო ვარდების უსისხლო რევოლუციით ხელისუფლებას ჩამოაშორეს! ქვეყანას ფაქტობრივად კრიმინალები მართავდნენ და სრული ანარქია სუფევდა. აღკვეთეს უმსგავსოებები, მოაგვარეს უწყლობა, უშუქობა, უგაზობა, კორუფცია მინიმუმამდე დაიყვანეს, აღკვეთეს ადამიანის გატაცება და ყაჩაღობა, გააუმჯობესეს სოციალური პირობები, ქვეყანა სახელმწიფოს დაამსაგვსეს!

ბევრ პროექტს საფუძველი ჩაუყარეს და რომ არა „ქართული ოცნების" ახირებული, ზედმეტად ფრთხილი პოლიტიკა, სხვა რომ არაფერი, დღეს გვექნებოდა ანაკლია – ლაზიკის ღრმაწყლიანი ნავსადგომი, რომელიც იქნებოდა დედამიწის ოთხივე მხარის დამაკავშირებელი ხიდი და შემოსავლის დიდი წყარო გახდებოდა!

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად „ქართული ოცნება", კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერების ნაკლები ბრძოლისუნარიანობის გამო პარლამენტში უმრავლესობით შევიდა და „ნაციონალური მოძრაობის" აღმა ხნული – დაღმა ფარცხა, – სიტყვა ბარაქიანი აქვს, საქმე – ტალახიანი, მარტო თავისთავზე ფიქრობს, ყველაფერს თავისთვის ხვეტავს. „განა ყველა თქვენია, რაც ღმერთს გაუჩენია". ავიწყდება, რომ ხელისუფლება წისქვილის ქვაა და კარგი საქმეები ხალხისთვის უნდა ფქვას!

ამ ხალხს საქართველოში ცხოვრება არ უნდა?! – როგორ გაუსწორებენ თვალს ნაცნობებს, ნათესავებს, ამხანაგებს!

ძალაუფლებას დახარბებული „ქართული ოცნება" დღესაც არ მალავს ხელისუფლებაში კიდევ მოსვლის სურვილს! ულმობელია ოპოზიციური პარტიების მიმართ – განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობის" მიმართ, რადგან ის პოტენციურ მოწინააღმდეგედ მიაჩნია.

ოპოზიციაში ბზარი გაჩნდა! მეგობარი ქვეყნების მიერ შედგენილ ერთობ ბუნდოვანი შინაარსის ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას ოპოზიციის პარლამენტში შესვლის შემთხვევაში, ზოგმა ოპოზიციური პარტიის ლიდერებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, გაერთიანებულ ოპოზიციასთან შეუთანხმებლად და პარლამენტში შევიდნენ. ზოგი კუნტრუშით და სახეგაბადრული, ზოგი – სახედაღვრემილი. არა აქვს მნიშვნელობა, რა სიფათით შევიდნენ პარლამენტში, ცხადია – მათ ზურგი უჩვენეს ერთობას, ერთობას, რომელიც ოპოზიციისთვის ტახტია, ხელისუფლებისთვის – სახრჩობელა. რა ამოძრავებდა მათ ამ ნაბიჯის გადადგმისას? ქვეყანაში არსებული დაძაბული ვითარების განმუხტვა თუ პარლამენტში შესვლის წყურვილი და მაცდური თბილი სავარძელი?!

ეს ქმედება მოახლოებულ ადგილობრივ და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში უპირო ოპოზიციური პარტიების და მათი ლიდერების წარმატებაზე უარყოფითად აისახება.

ისტორია დროზე შეაფასებს თითოეული ხელისუფლების საქმიანობას და თავიანთ ადგილებს მიუჩენს მათ. თაროზე არ ჩამოდებს, არ დაამტვრიანებს.

ᲝᲗᲐᲠ ᲨᲝᲜᲘᲐ,
ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ.
Ტ. 239-05-92

P.S. **ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ მეგობრული ენით, მეგობრული კილოთი უნდა ელაპარაკო და არა დიპლომატიური ენით. ანდაზაა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – ზურგს უკანაო.**

იმედია, საქართველოს მე-3 პრეზიდენტისთვის სამშობლოს კარი ვადამდელი არჩევნების დროს გაიღება. შემოშვება – ერთი თუ ორი მისდამი ანტაგონისტურად განწყობილი პარტიის და მათი ლიდერების გადასაწყვეტი არ არის. ვერდიქტს ქართველი ხალხი, მრავალპარტიული პარლამენტი და კოალიციური მთავრობა გამოიტანს!

Ო. Შ.

◎ ტრადიცია

ამიერიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებთ

პროფესორ **დავით გურგენიძეზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთლად ახალი რექტორიც აღარ ითქმის, რადგან მისი თავკაცობით ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი უკვე მეორე აკადემიური წლის ფინიშზე გავიდა.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ მუდამ სიახლეთა დანერგვაზე ორიენტირებული მეცნიერის სტუდენტობის წლები „გეპეის“ ხელბურთელთა და კალათბურთელთა გუნდების, აგრეთვე სპორტის ინდივიდუალურ სახეობათა წარმომადგენლების წარმატებათა პერიოდს დაემთხვა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იგი მშობლიური ალმა მატერის სასახელო ტრადიციების აღორძინებაზე ზრუნავს და საამისოდ ღირსეული ნაბიჯიც გადადგა.

ვგულისხმობთ სკანდალის ფონზე გაჭიანურებული საარჩევნო მოვლენების შემდეგ საქართველოს რაგბის კავშირის სათავეში რამდენიმე თვის წინათ მოსულ იოსებ ტყემალაძესთან ხელმოწერილ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის თანახმადაც „ბორჯღალოსანთა“ ეროვნული თუ ასაკობრივი ნაკრებების წევრებს შეღავათიან ფასებში შეეძლებათ განათლების მიღება და სპეციალური გრაფიკით ისარგებლებენ.

დავით გურგენიძე – სტუ-ს რექტორი: დიდი მადლობა რაგბის კავშირს, რადგან ამიერიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებთ. იმ მოზარდებს, რომლებიც ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობენ და რაგბის თამაშობენ, საშუალება მიეცემათ სპეციალური გრაფიკით ისარგებლონ. ყველა სპორტსმენს დავეხმარებით, რათა თავიანთი მიღწევებით სახელი გაუთქვან ჩვენს ქვეყანას და, ამავდროულად, შეიძინონ ცოდნა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

იოსებ ტყემალაძე: – სრკ-ის პრეზიდენტი: დიდი მადლობა ბატონ დავითს ამ შესაძლებლობისთვის. ტექნიკურ უნივერსიტეტს ძალიან კარგი სარაგბო გუნდი ჰყავდა და ახლა ისტორიას ვაბრუნებთ. ეს მემორანდუმი, უწინარესად, სტუ-ში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და შემდგომში რაგბის პოპულარიზაციას ემსახურება, ჩვენ კი ცოდნასა და ტექნიკურ საშუალებებს სტუდენტობას მოვახმართ. გარდა იმისა, რომ ნაკრების წევრებს სწავლების პროცესში შეღავათები გაეწევათ, ვეცდებით აგრეთვე, რომ სტუ-ში განვავითაროთ როგორც პროფესიული, ისე სამოყვარულო რაგბი.

გივი ჟიჟინაძე – სრკ-ის გამგეობის თავმჯდომარე: ტექნიკურ უნივერსიტეტს სასახელო სპორტული ტრადიციები გააჩნია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სარაგბო მექაში ჩამოყალიბდა საქართველოში პირველი გუნდი. ეს მემორანდუმი დაეხმარება როგორც სტუ-ს, ისე სრკ-ს, რათა მოხდეს ჩვენი თამაშის პოპულარიზაცია. მსგავსი მემორანდუმები სხვა უნივერსიტეტებთანაც გაფორმდება.

◎ სუპერლიგა

რუსთაველთა მოლოდინი

როგორც მოსალოდნელი იყო, რეგულარული სეზონის გამარჯვებული „რუსთავი“ საპლეიოფო სერიაში იოლად – 2:0 გაუსწორდა „კაქტუსს“ და 11-წლიანი შესვენების შემდეგ სუპერლიგის პირველი ფინალისტი გახდა.

სასტარტო შეხვედრის მსგავსად, დედაქალაქის ოლიმპიურ სასახლეში გამართული საპასუხო უთანასწორო ბრძოლის ბედი ანატოლი ბოისასა და მიხეილ ბერუაშვილის გაწვრთნილი გუნდის ამერიკელმა ლეგიონერებმა – დევისმა, ვაშინგტონმა, უაითმა და ოკეკემ გადაწყვიტეს, რომლებსაც ზუსტი სამქულიანები ვაშაკიძემ შეაშველა – 91:78. მათი ჩინებული თამაშის ფონზე მასპინძელთა სნაიპერების – ჯონსისა (29 ქულა) და სანაძის (17 ქულა) ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა.

ქვემოქართლელთა მომავალ მეტოქეს სატიტულო რაუნდში დღეს იქვე 13 საათზე დანიშნული დამატებითი მატჩი გამოავლენს თბილისის „დინამოსა“ და „ცხუმ-აფხაზეთს“ შორის, რადგან მეორე დუელის გაჭირვებით მოგებით – 70:68 მუჰამედ ტაჩის შეგირდებმა საერთო ანგარიში გაათანაბრეს – 1:1.

აღსანიშნავია, რომ სტუმრებს ბოლო წამებზე ამჯერადაც შეეძლოთ უიღბლოდ დაწყებული საქმის წარმატებამდე მიყვანა, მაგრამ მაკფოლმა ზედიზედ ორი სამქულიანიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო.

სხვათა შორის, მასვე უკავშირდება ერთ-ერთი საკვანძო ეპიზოდი, როცა უკანასკნელი პერიოდის წინ მსაჯებს ტექნიკური შენიშვნა გამოსტყუა და დარბაიძეს საჯარიმოებით მნიშვნელოვანი ქულების მოპოვების საშუალება მისცა.

დაახლოებით იგივე მოხდა პირველი ტაიმის მიწურულსაც, ოღონდ იმ ეპიზოდში ნერვებმა ზღვისპირელთა თავკაც ჩერქეზიშვილს უმტყუნა და ედვარდსმა სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა – 38:38.

დავძენთ, რომ, განსაკუთრებით შესვენებამდე, უჩვეულოდ პასიურად გამოიყურებოდა დინამოელთა ლიდერი ბულაშვილი...

◎ ხუთი რგოლი

გაუქმებისკენ მოუწოდებენ

ტოკიოს სამედიცინო პრაქტიკოსთა ასოციაცია, რომელიც 6 000-მდე ექიმს აერთიანებს, იაპონიის მთავრობას ოლიმპიადის გაუქმებისკენ მოუწოდებს.

ასოციაციაში აღნიშნავენ, რომ ინფიცირების შემთხვევების ზრდის გამო დედაქალაქში საავადმყოფოები გადატვირთულია.

„ჩვენ მკაცრად მოვითხოვთ, ხელისუფლებამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი დაარწმუნოს, რომ ოლიმპიადის ჩატარება რთულია და თამაშების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღონ. ინფიცირების მაჩვენებლის ზრდის გამო სამედიცინო დაწესებულებები გადატვირთულია და თითქმის არ აქვთ თავისუფალი ადგილები“, – ნათქვამია განცხადებაში.

14 მაისს იაპონიის ექიმთა პროფკავშირმა მთავრობას აღნიშნული ფორუმის გაუქმებისკენ მოუწოდა. ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დაწყება 23 ივლისს იგეგმება.

◎ ვითარება



კორონას კვალი

ჩემპიონთა ლიგის ფინალი 29 მაისს სტამბოლში უნდა გამართულიყო, მაგრამ თურქეთში გართულებული ეპიდვითარებისა და ინგლისური წყვილის ფაქტორის გათვალისწინებით დღის წესრიგში სატიტულო ბრძოლის ფეხბურთის სამშობლოში, კერძოდ – ლონდონის „უემბლიზე“ გადატანა დადგა.

საბოლოოდ ეს ვარიანტიც გამოირიცხა, რადგან შეხვედრაზე VIP-პერსონების დასწრების მსურველმა უეფამ ვერ შეძლო ბრიტანეთის მთავრობასთან მოლაპარაკება კორონავირუსზე შეზღუდვების მოხსნასთან დაკავშირებით.

მოგეხსენებათ, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება – მთავარია, საამისო ნება არსებობდეს.

და აი, გადაწყდა, რომ „სიტისა“ და „ჩელსის“ მატჩს პორტუს „დრაგაოს“ სტადიონი ორივე მხრიდან 6000-6000 ქომაგის თანდასწრებით უმასპინძლებს და მას ესპანელი მსაჯი **მატეუ ლაოსი** გაუძღვება.

გაირკვა ისიც, რომ ევროპა ლიგის ფინალს 26 მაისს გდანსკში ფრანგი არბიტრი **კლემან ტიურპენი** განსჯის.

დავძენთ, რომ ქალთა ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონამ“ „ჩელსი“ დაჯაბნა – 4:0 და ფრანგული „ლიონის“ ჰეგემონია დაამხო.

◎ ჩოგბურთი

გრუნტის **მეფემ რაფაელ ნადალმა მოახლოებული როლან გაროსის წინ მეათედ მოიგო რომის მასტერსი, სატიტულო ბრძოლა ნოვაკ ჯოკოვიჩთან კი, რომელიც 2 საათსა და 50 წუთში 7:5, 1:6, 6:3 დასრულდა, მისთვის მე-500(!) გამოდგა სათიხნარო საფარზე (458 გამარჯვება, 42 დამარცხება).**

ნადალის ნირვანა

შთამბეჭდავია ესპანელის ფინალების ბალანსიც მის საყვარელ ტურნირებში: რომი (9:2), როლან გაროსი (13:0), ბარსელონა (12:0) და მონტე კარლო (11:1).

მალიორკელი გაუთანაბრდა სერბს როგორც მასტერსების გადამწყვეტ რაუნდებში გასვლების რაოდენობით (52-52), ისე წარმატებებით (36-36), რაც საერეკორდი მაჩვენებლებია.

რაც შეეხება ტიტანთა ურთიერთშეხვედრებს, „ნოლე“ მინიმალურ უპირატესობას ინარჩუნებს – 29:28.



გახსენება

რევო მშვიდობაძე

ცნობილ ენერგეტიკოსს - **რევო მშვიდობაძეს** 18 მაისს 90 წელი შეუსრულდებოდა. ერთ წელზე ცოტა მეტი დრო გავიდა მისი გარდაცვალებიდან. ნიშანდობლივია, რომ მისი გარდაცვალება 2019 წლის 21 დეკემბერს დაემთხვა — მის მიერვე დაფუძნებულ საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წლიურ ანგარიშს და იუბილარ ვეტერანებისთვის საიუბილეო ადრესებისა და ფასიანი საჩუქრების საზეიმო ვითარებაში გადაცემის დღეს, რომლის ორგანიზატორიც თვითონ იყო და საიუბილეო საღამოს წამყვანიც თვითონ უნდა ყოფილიყო...

ბატონმა რევო მშვიდობაძემ განვლო დიდი გზა ენერგეტიკაში, ელექტრომონტიორობიდან საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეობამდე.

პენსიაზე გასვლის შემდეგ 2000 წელს მან დააფუძნა საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი, რომლის ხელმძღვანელიც თვითონ იყო სიცოცხლის ბოლომდე და რომელიც მრავალ ვეტერან ენერგეტიკოსს — რომლებიც ქმნიდნენ და შემდეგ ინარჩუნებდნენ ქართულ ენერგეტიკას — გაუწია მატერიალური და სხვა სახის დახმარებები.

ვეტერანთა კავშირი დღესაც წარმატებით აგრძელებს ენერგეტიკის ვეტერანების დახმარებას და მათზე ზრუნვას. იგი ასევე იყო საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის მთავარი მრჩეველი. იყო საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსი, გამოქვეყნებული ჰქონდა მოკლე ისტორიული ცნობარი „საქართველოს ენერგოსისტემა“ , „აწჰესი 70 წლისაა“, „ზაჰესის 80 წელი“, „საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი-ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობის აქტიური რგოლი“.

მიღებული ჰქონდა მრავალი სახელმწიფო ჯილდო.

ქართულ ენერგეტიკას ძალიან აკლია ეს ღირსეული პიროვნება, მისი ანალიტიკური აზროვნება, მაღალპროფესიული რჩევები, გვაკლია ჩვენ, მის მეგობრებს და ახლობლებს, აკლია მის შვილს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი,
საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი,
საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაცია.

ვიტალი სულამანიძე

ვიტალი სულამანიძემ, „ღირსების ორდენის“ კავალერმა, მართლაც დიდებულმა ადამიანმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა საქართველოს ენერგეტიკას, ენერგოობიქტების მშენებლობას.

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1962 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა საქართველოს ენერგეტიკას. იყო „საქენერგოპროექტის“ უფროსი ინჟინერი, 1971 წლიდან „საქმთავარენერგოს“ საამშენებლო-სარემონტო ტრესტის გურჯაანის სამმართველოს მთავარი ინჟინერია, 1976 წლიდან ამავე ტრესტის სამგორის სამმართველოს უფროსი. 1989 წლიდან ხელმძღვანელობს „საქმთავარენერგოს“ მცირე ჰესების სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს. 1996 წლიდან „ჰიდრომშენის“ დირექტორია. 2003 წლიდან ხელმძღვანელობდა „სამომავლო ენერგეტიკული განვითარების კორპორაციას“ და „საქენერგოპროექტს“. მისი ხელმძღვანელობით სრულდებოდა სამშენებლო -სარემონტო სამუშაოები „თბილსრესსა“ და ენერგოსისტემის ელექტრულ ქსელებში, აშენდა მცირე ჰესები სოფ. არხოტსა და ჩხოროწყუში, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მცირე ჰესებს, რიცულაჰესს, კახრეთიჰესს, აწჰესს, შაორჰესის გვირაბს და სხვა.

ვიტალი სულამანიძე მონაწილეობდა ასევე 35-220კვ. ეგხ და ქ/სადგურების მშენებლობაში, მისი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ქვეყნის ხელმძღვანელობას. 1999 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

მისი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი უსამძიმრებს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრს ბატონ ილია ყარაშვილს ძმის

ჰენრი ყარაშვილის

გარდაცვალებას. უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებს და კოლეგებს.

სანთელი

ალეკო ასლანიშვილი და ზინა მჭედლური ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, კეთილშობილი ვაჟკაცი და მოქალაქე

თენგიზ ტიტეს ძე ტრაპაიძე

და განუზომელი დანაკლისის გამო გულითადად თანაუგრძნობენ მის მეუღლეს ლია ქავთარაძეს და ქალიშვილს ქეთინო ტრაპაიძეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1964 წლის კურსდამთავრებულები გულისტკივილით აუწყებენ საზოგადოებას თანაკურსელის, საყვარელი მეგობრის, ცნობილი საზოგადო და სამეურნეო მუშაკის

თენგიზ ტიტეს ძე ტრაპაიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის დამწუხრებულ ოჯახს. დაკრძალვა 20 V, 14 საათზე, მისამართი. გ. ლეონიძის 27.

სანთელი

უნივერსიტეტ „გეომედის“ რექტორი მარინა ფირცხალავა, თორნიკე ხოშტარია, თამაზ ხვიჩია, თამარ ოქროპირიძე, ხათუნა ჯოხაძე, თეკლე დადუნაშვილი, ნონა თოლორაია, თამარ სოზიაშვილი, ხათუნა ტვილდიანი, მარიკა კალანდაძე, გოჩა ამყოლაძე მწუხარებას გამოთქვამენ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის

კონსტანტინე კუჭავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის მეუღლეს, პროფესორ მაია ლომსაძეს, სანათესაოსა და მეგობრებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანატის თანამშრომლები, ენერგეტიკის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები ნანა სამსონია, ლალი ბოჭორიშვილი, მაკა გუდიაშვილი, თამარ წერეთელი, მანანა თოფურია, თათა ფილიპიდისი, ნინო გიორგიშვილი, მაკა ელისაშვილი, ნინო მაღრაძე, ბელა ჭანტურიძე, დავით ჯაფარიძე, გოდერძი კიკნაველიძე, ზვიად გაჩეჩილაძე, დათო მაკასარაშვილი, გოჩა ამყოლაძე, დემურ ჩომახიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი გეპეელი, ინფორმაციული ტექნოლოგიების კვალიფიციური სპეციალისტი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, სამშობლოზე, ოჯახსა და მეგობრებზე შეყვარებული ადამიანი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

კონსტანტინე კუჭავა

და თანაგრძნობას გამოხატავენ განსვენებულის მეუღლის, მენეჯმენტის დირექტორის, პროფესორ მაია ლომსაძის, ნათესავებისა და მეგობრების მიმართ.

სანთელი

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ღრმა მწუხარებით და გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ასოციაციის წევრი, ღვაწლმოსილი ქალბატონი, ცნობილი პედიატრი, ექიმთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ღირსეული და გამორჩეული მანდილოსანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნინო (ჯერო) მანჯავიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ძლიერმა ქარმა ონის მუნიციპალიტეტი დააზარალა

ქარმა ონში და მიმდებარე სოფლებში საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა. ქარის შედეგად დაზიანებულია ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები და წაქცეულია ხეები. ვითარებას ადგილზე გაეცნო **რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული პარმენ მარგველიძე მოადგილეებთან და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად.**

გუბერნატორის ინფორმაციით, უკვე შექმნილია სტიქიის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია, მიმდინარეობს ზარალის დათვლა. პარალელურ რეჟიმში დაწყებულია საცხოვრებელი სახლების დახურვისა და ელექტროგადამცემი სადენების აღდგენითი სამუშაოები, ქარისგან დამტვრეული ხეებისგან იწმინდება ქალაქი.

პეკინის გამზირზე ხანძრის შედეგად დაშავებული ქალი გარდაიცვალა

თბილისში, პეკინის გამზირზე ხანძრის შედეგად დაშავებული ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, ქალი მეხუთე სართულზე ცხოვრობდა.

სავარაუდოდ, ხანძრისას ის აივნიდან გადავარდა. ხეჩინაშვილის კლინიკაში, სადაც დაშავებული გადაიყვანეს, აცხადებენ, რომ მას სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებები ჰქონდა.

„დილით შემოიყვანეს ქალი, სავარაუდოდ სიმაღლიდან ვარდნის გამო. მას აღენიშნებოდა სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებები. შემოყვანის დროს მას მხოლოდ ერთეული სასიცოცხლო ნიშნები ჰქონდა. სამწუხაროდ, ჩატარებული მკურნალობის მიუხედავად, პაციენტი გარდაიცვალა“, — განაცხადა ხეჩინაშვილის კლინიკის კლინიკურმა მენეჯერმა, ნიკოლოზ კვაჭაძემ.

მინისტრის სიურპრიზი სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის

გუშინ მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან შეხვედრა გამართა და ორი სიახლის შესახებ ისაუბრა.

კულტურის სამინისტროს ცნობით, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები იწყებენ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღდგენის პროცესში მონაწილეობას და ეროვნული გალერეა (ე.წ. ცისფერი გალერეა) იხსნება მხატვრებისთვის.

მინისტრმა საზოგადოებას შეახსენა, რომ 20 აპრილს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამართულ ბრიფინგზე მან ამ მუზეუმის აღდგენა დააანონსა. გუშინ კი, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, მინისტრმა განაცხადა, რომ ხელოვნების მუზეუმის აღდგენის პროცესში ახალი თაობა – სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის, სახვითი ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია/კონსერვაციისა და სხვა სპეციალობების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 50-ზე მეტი სტუდენტი ჩაერთვება.

ასევე, მუზეუმის აღდგენის პროცესში ჩაერთვება ის რამდენიმე ახალგაზრდაც, რომელიც მინისტრის 20 აპრილის მოწოდებას კულტურის სამინისტროს სისტემის გარედან გამოეხმაურა და ამ საშვილიშვილო საქმეში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. ახალგაზრდები შესაბამისი კვალიფიკაციის უფროსი ასაკის პროფესიონალების ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებენ და მათი პირველი ამოცანა ფონდების აღრიცხვა, შესაბამის ჟურნალებში მითითებულ მონაცემებთან რეალური მონაცემების შეჯერება და იმის დადგენა იქნება, თუ რა ინახება ამჟამად ხელოვნების მუზეუმის შესაბამის ფონდებში. დანაკლისი ცალკე აღირიცხება და გატარდება კანონით დადგენილი ღონისძიებები. საბოლოო ჯამში კი თითოეული ექსპონატის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პასპორტიზაცია უნდა მოხდეს და ფონდების მართვაც მკაცრად გაწერილ პროტოკოლსა და თანამედროვე მენეჯმენტს უნდა დაექვემდებაროს.

ამავდროულად, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მიიღებენ უნიკალურ გამოცდილებას, რაც მათ სასწავლო პროცესში კრედიტების მიღების საშუალებას მისცემს, ხოლო მომავალში წარმატებულ პროფესიულ საქმიანობაში შეუწყობს ხელს. საქართველოს კულტურის მინისტრმა ეროვნული გალერეიდან

მხატვრებს მიმართა და აცნობა, რომ მათი მრავალწლიანი თხოვნა დაკმაყოფილებულია, ე.წ. ცისფერი გალერეა მხატვრებს უბრუნდება. გალერეაში კვლავ იქნება შესაძლებელი როგორც ცნობილი მხატვრების, ასევე ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრების გამოფენების მოწყობა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



პეტრას ციხე გაიხსნა

პეტრას ციხე უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქის ნანგრევებს წარმოადგენს, რომელიც სოფელ ციხისძირში, ტურისტულ მარშრუტზეა განთავსებული და ვიზიტორთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

პეტრას ციხის რეაბილიტაცია 2015 წელს დაიწყო აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ, აღმოსავლეთ კედლებს და დერეფნის უბანს, რითაც უფრო თვალსაჩინო გახდა ძეგლის თავდაპირველი დაგეგმარება.

2018-2021 წლებში ციხის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურითი მოწყობის პროექტი განხორციელდა. აშენდა ვიზიტორთა ცენტრი, 2 საექსპოზიციო ნაგებობა, კინოსაპროექციო. ლიმონარიუმის 4 ტერასაზე გაკეთდა ადაპტირებული სასეირნო ბილიკები და 6 ადაპტირებული ლიფტი შშმ პირებისათვის. ვიზიტორთათვის მოეწყო ავტო პარკინგი. ციხე-ქალაქ პეტრას სახელწოდება კლდოვანი რელიეფის გამო შეერქვა, ხოლო მისი დაარსება და მშენებლობა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს სახელს უკავშირდება.

„მის სამყარო 2021“

სილამაზის საერთაშორისო კონკურსის „მის სამყარო 2021“-ის გამარჯვებული მექსიკელი ანდრეა მეზა გახდა.

კონკურსის ფინალურ ტურში მექსიკელი კონკურსანტის გარდა, ბრაზილიის, ინდოეთის, პერუსა და დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენლები მოხვდნენ. ახალი „მის სამყარო“ 26 წლისაა, ცხოვრობს მექსიკის ქალაქ ჩიხუახუაში და მუშაობს პროგრამისტად. ანდრეა მეზა აქტიურად იბრძვის გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გამოფენა ყვარლის ფულის მუზეუმში

მუზეუმის საერთაშორისო დღისა და დამოუკიდებლობის აღდგენის კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი მორიგ გამოფენას მასპინძლობს.

გამოფენა, რომლის სახელწოდებაა – „სახელმწიფო ბანკი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“, გუშინ გაიხსნა და 31 მაისამდე გაგრძელდება.

გამოფენის ფარგლებში, მუზეუმში მისულ დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ, ადგილზე გაეცნონ 1919-1921 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსებისა და ფუნქციონირების ისტორიას. ასევე, დაათვალიერონ შესაბამისი პერიოდის

ფოტო, საარქივო და პრესის მასალები. შეგახსენებთ, რომ ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი ყვარელში, რუსთაველის №10-ში მდებარეობს და ვიზიტორებს ყოველი კვირის ხუთშაბათიდან – ორშაბათის ჩათვლით, 10:00 -17:00 საათამდე მასპინძლობს. მუზეუმი დამთვალიერებლებისთვის უფასოა. აღსანიშნავია, რომ პანდემიიდან გამომდინარე, მუზეუმში დაცულია უსაფრთხოების ყველა ნორმა.

ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ქალაქი

ავსტრალიის დედაქალაქი მსოფლიოში ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ქალაქად დასახელდა. დაბინძურების დაბალი მაჩვენებლების შედეგად კანბერა რეიტინგის ლიდერია.

ექსპერტებმა მიაქციეს ყურადღება, რომ კანბერას მოსახლეობა ელექტროენერგიის 48%-ს ქარის სადგურებისგან იღებს. ამავდროულად, განვითარებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ამიტომ ნაკლები კერძო ავტომობილი მოძრაობს. ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ქალაქების ტოპ სამეულშია მადრიდი (ესპანეთი),ბრისბენი (ავსტრალია).

აუქციონზე ვულკანს ყიდიან

ისლანდიელი ანა თორდი, რომელიც იმ მიწას ფლობს, სადაც მოქმედი ვულკანი ფაგრადალსფიალი მდებარეობს, ონლაინაუქციონზე ამ ვულკანს ყიდის.

მიწის ამჟამინდელი მფლობელი აცხადებს, რომ ვულკანის შესყიდვის შესახებ უკვე ორი შემოთავაზება მიიღო. მას და მის ოჯახს აღნიშნული მიწა რამდენიმე თაობის განმავლობაში ეკუთვნოდა. მისი თქმით, ვულკანის გაყიდვის იდეა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გაჩნდა. მიწის მესაკუთრეები ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ, რათა ვულკანის მახლობლად ტურისტების თავისუფალი წვდომა უზრუნველყონ. თავის მხრივ, ხელისუფლება მზადაა, ვულკანის მიმდებარე ტერიტორიის ტურისტულ ობიექტად გადაქცევის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 560 000 აშშ დოლარზე მეტი გამოყოს.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 21 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3979; ევრო - 4.1325;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7938;
100 რუბლი - 4.5918; თურქული ლირა - 0.4064;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9969;
1000 სომხური დრამი - 6.5055.

ამინდი 18 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+26
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+34
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge